

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	8-48

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომლის მიხედვითაც ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 252,365 ათასი ლარით აღემატებოდა. ეს მოვლენები ან პირობები მიაწინებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 23-ე შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოექცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შვეიცარული აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგვემოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვეველობა, რაც შეიძლება სერიოზული ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

22 ივნისი, 2018 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომლის მიხედვითაც ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 252,365 ათასი ლარით აღემატებოდა. ეს მოვლენები ან პირობები მიანიშნებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 23-ე შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.

- ▶ შვეიცარული აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვეველობა, რაც შეიძლება სერიოზული ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 22 ივნისი

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	7	868,581	757,466
ბუნებრივი აირის თვითღირებულება		(698,976)	(586,995)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(33,519)	(26,549)
გაზის ტრანსპორტირების დანახარჯები		(36,970)	(26,498)
ცვეთა	11	(17,452)	(15,699)
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	9	(1,275)	(3,089)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(42,814)	(39,756)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		37,575	58,880
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		30,386	(43,603)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული ზარალი		(816)	(999)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	14	2,112	4,673
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	17	(17,194)	(30,178)
დასაბეგრი მოგება/(ზარალი)		52,063	(11,227)
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(5,806)
წლის მოგება/(ზარალი)		52,063	(17,033)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		52,063	(17,033)

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2018 წლის 22 ივნისს შემდეგი პირების მიერ:


 აზერ მამადოვი
 დირექტორი


 ალექსანდრე საკანდელიძე
 ფინანსური დირექტორის
 მოადგილე

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	7	868,581	757,466
ბუნებრივი აირის თვითღირებულება		(698,976)	(586,995)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(33,519)	(26,549)
გაზის ტრანსპორტირების დანახარჯები		(36,970)	(26,498)
ცვეთა	11	(17,452)	(15,699)
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	9	(1,275)	(3,089)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(42,814)	(39,756)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		37,575	58,880
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა			
შემოსულობა/(ზარალი)		30,386	(43,603)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული			
ზარალი		(816)	(999)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	14	2,112	4,673
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	17	(17,194)	(30,178)
დასაბეგრი მოგება/(ზარალი)		52,063	(11,227)
მოგების გადასახადის ხარჯი	10	–	(5,806)
წლის მოგება/(ზარალი)		52,063	(17,033)
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		52,063	(17,033)

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2018 წლის 22 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

აზერ მამადოვი
დირექტორი

ალექსანდრე საკანდელიძე
ფინანსური დირექტორის
მოადგილე

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	555,181	428,528
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები		53	161
არამატერიალური აქტივები		409	210
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	12	–	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		555,643	428,899
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		4,787	5,028
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	13	287,313	297,640
გაცემული სესხები	14	34,034	65,730
სხვა აქტივები		4,474	9,962
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	4,889	2,063
სულ მიმდინარე აქტივები		335,497	380,423
სულ აქტივები		891,140	809,322
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	147,294	49,686
დამატებით შეტანილი კაპიტალი	16	34,967	34,967
გაუნაწილებელი ზარალი		(11,581)	(63,644)
სულ კაპიტალი		170,680	21,009
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	17	119,136	140,329
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	20	7,873	4,603
გადავადებული შემოსავლის გრძელვადიანი ნაწილი		–	503
სახელმწიფო გრანტები	18	5,589	5,778
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		132,598	151,213
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	17	160,425	152,002
წმინდა საგადასახადო დავალიანება	19	27,814	24,229
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	20	391,076	452,470
მიღებული ავანსები		8,547	8,399
სულ მიმდინარე ვალდებულებები		587,862	637,100
სულ ვალდებულებები		720,460	788,313
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		891,140	809,322

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი ზარალი	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	49,686	34,967	(46,611)	38,042
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	–	(17,033)	(17,033)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	49,686	34,967	(63,644)	21,009
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	52,063	52,063
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (მე-16 შენიშვნა)	97,608	–	–	97,608
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	147,294	34,967	(11,581)	170,680

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საოპერაციო საქმიანობა			
დასაბეგრი მოგება/(ზარალი)		52,063	(11,227)
<i>არაფულადი კორექტირებები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ცვეთა	11	17,452	15,699
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული ზარალი		816	999
შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან		(189)	(525)
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	9	1,275	3,089
საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი		(6,015)	23,765
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	17	17,194	30,178
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	14	(2,112)	(4,673)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		80,484	57,305
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები</i>			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		241	(2,776)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		9,052	(171,608)
ცვლილება სხვა აქტივებში		5,488	(4,024)
წმინდა ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		3,585	12,868
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		(124,515)	88,165
ცვლილება მიღებულ ავანსებში		148	8,399
		(25,517)	(11,671)
გადახდილი მოგების გადასახადი		–	(1,287)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული) / მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(25,517)	(12,958)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(73,952)	(38,540)
აქტივების გაყიდვიდან შემოსავალი		1,085	298
გაცემული სესხების დაფარვებიდან მიღებული შემოსავალი		79,393	18,721
სესხების გაცემა		(45,585)	(6,965)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(39,059)	(26,486)
ფინანსური საქმიანობა			
აღებული სესხები და თამასუქები		686,491	233,731
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა		(688,075)	(158,089)
გადახდილი პროცენტი		(20,161)	(48,645)
შენატანი საწესდებო კაპიტალში		89,669	–
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		67,924	26,997
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		3,348	(12,447)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	15	2,063	14,612
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(522)	(102)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	15	4,889	2,063

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები განხილულია 24-ე შენიშვნაში.

8-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ათას ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი კომპანიების ჯგუფის (შემდგომში „ჯგუფი“) ჰოლდინგური კომპანია. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 300 არაგველის ქ. 24.

კომპანიის ერთპიროვნული მფლობელია შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომელსაც აკონტროლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (შემდგომში „საბოლოო მშობელი კომპანია“). ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ბუნებრივი აირის იმპორტი და საქართველოს რეგიონებში იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაზგამანაწილებელი ქსელის მეშვეობით გაყიდვაა.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელთა მიერ პარტნიორთა საერთო კრებაზე. პარტნიორთა კრება, როგორც წესი, ტარდება საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის მეორე ნახევარში.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 252,365 ლარით აღემატებოდა (2016 წ.: 256,677 ლარი) ეს გარემოება მიანიშნებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ჯგუფი თავისი საწარმოო სიმძლავრის გაზრდის პროცესშია და ამის გამო მნიშვნელოვან კაპიტალურ და საოპერაციო დანახარჯებს განიცდის. 2008 წელს გაზგამანაწილებელი ქსელის შესყიდვის შემდეგ (22-ე შენიშვნა) ჯგუფმა კაპიტალური დაბანდების მნიშვნელოვანი ვალდებულებები აიღო, რისი მიზანიც გაზგამანაწილებელი ქსელების გაფართოება და ქსელზე ახალი აბონენტების მიერთება იყო.

თავისი კაპიტალის და საოპერაციო საჭიროებები ჯგუფმა დააფინანსა მფლობელთა დახმარებით კაპიტალისა და მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხების ფორმით, ასევე საბოლოო მშობელი კომპანიისა და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სხვა საწარმოებისგან მიღებული მომწოდებლის კრედიტით და ადგილობრივი ბანკებისგან აღებული მომცრო სესხებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ჯგუფმა მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდების ვალდებულები შემდგომშიც აიღო. როგორც 22-ე შენიშვნაშია აღნიშნული, 2014 წლის 8 დეკემბერს ჯგუფმა და საქართველოს მთავრობამ შეიტანეს ცვლილება 2008 წლის 26 დეკემბრით დათარიღებულ თავდაპირველ ნასყიდობის ხელშეკრულებაში. ამ ცვლილების თანახმად, ინვესტიციის აღებული ვალდებულების ოდენობა 40,000,000 აშშ დოლარიდან (103,688 ლარი - ლარის მიმართ აშშ დოლარის 2017 წლის 31 დეკემბრის გაცვლითი კურსის მიხედვით) 250,000,000 აშშ დოლარამდე (648,050 ლარი) გაიზარდა.

ჯგუფმა დაფინანსების დიდი ნაწილი მოიპოვა საბოლოო მშობელი კომპანიისგან მომწოდებლის კრედიტის სახით, რომელიც მიმართა კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად. 2017 წლის 15 თებერვალს ჯგუფმა მიიღო ოფიციალური წერილი საბოლოო მშობელი კომპანიისგან, რომელიც მოითხოვდა კრედიტორული დავალიანების შემცირებას არანაკლებ 45,000,000 აშშ დოლარით (119,106 ლარი) და, ზოგადად, საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებას.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ჯგუფის დამატებითი დაფინანსების აუცილებლობის შეფასებისას, 2017 წლის 20 აპრილს მშობელი კომპანიის მფლობელების წარმომადგენლებმა: საბოლოო მშობელმა კომპანიამ, Intersun Holding FZCO-მ და EVENTUS GENERAL TRADING FZE-მ მიიღეს გადაწყვეტილება შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ საწესდებო კაპიტალის 100,000,000 აშშ დოლარით გაზრდის შესახებ. ამ და 2017 წლის 10 ოქტომბერს დამატებით მოწვეულ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სოკარმა შეისყიდა წილი ორივე არასაკონტროლო პაკეტის მფლობელისგან და სოკარმა და EVENTUS GENERAL TRADING FZE-მ გაცემულ სესხებზე მისაღები თანხების ნაწილი მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალად გარდაქმნეს. ამის შედეგად, მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალი 200,000,000 აშშ დოლარით გაიზარდა და ახალი წილობრივი მონაწილეობა შემდეგნაირად განისაზღვრა: მშობელი კომპანია - 75.505%, EVENTUS GENERAL TRADING FZE - 16.33%, Intersun Holding FZCO - 8.165%. 2017 წლის 20 აპრილს ჩატარებულ საერთო კრებაზე მშობელი კომპანიის მფლობელები ასევე შეთანხმდნენ ჯგუფის საწესდებო კაპიტალის 40,000,000 აშშ დოლარით გაზრდაზე.

ამის შემდეგ მშობელმა კომპანიამ ჯგუფის საწესდებო კაპიტალი გაზარდა 36,800,000 აშშ დოლარის ფულადი სახსრებით (89,669 ლარი) და გაცემულ სესხზე ჯგუფისგან მისაღები თანხიდან 3,200,000 აშშ დოლარის (7,939 ლარი) გარდაქმნით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა შეასრულა თავის ვალდებულება (22-ე შენიშვნა) - დააბანდა 250,000,000 აშშ დოლარზე მეტი, შეიძინა 250,000-ზე მეტი პოტენციური აბონენტი და, მოთხოვნისამებრ, გაისტუმრა მშობელი კომპანიის მიმართ კრედიტორული დავალიანება.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მფლობელსა და საბოლოო მშობელ კომპანიას აქვთ სურვილი და უნარი, გააგრძელონ ჯგუფის მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მფლობელისა და საბოლოო მშობელი კომპანიის ბოლოდროინდელი ქმედებებითა და საერთო კრებით, ასევე ჯგუფის ხელმძღვანელობასთან გამართული მოლაპარაკებებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს დასჭირდება დაახლოებით 158,000 ლარის ოდენობის დამატებითი დაფინანსება 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 30 ივნისამდე. ეს დანაკლისი არ მოიცავს საბოლოო მშობელი კომპანიის მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანების შემდგომ შემცირებას. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ საბოლოო მშობელი კომპანია თანახმა იქნება უახლოეს მომავალში მომწოდებლის კრედიტის არსებულ დონეზე შენარჩუნებაზე. აღნიშნული შეფასება იმ დაშვებასაც შეიცავს, რომ 2019 წლის 30 ივნისამდე მიმდინარე ყველა სესხი დაიფარება, რადგან არ არსებობს საკრედიტო ვალდებულებები.

დღეისათვის ყველა ოპერაცია ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებული ყოველგვარი განცხადება ეყრდნობა არსებულ მოლოდინებსა და პროგნოზებს. ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება ბევრი რისკი და გაურკვევლობა, რის გამოც რეალური შედეგები შეიძლება მოსალოდნელისგან განსხვავდებოდეს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1 მომზადების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3.2 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანია იღებს, ან აქვს უფლება მიიღოს, ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტისგან და აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს უკუგებაზე ინვესტიციის ობიექტზე ზემოქმედებით. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე (ანუ არსებული უფლებები, რაც მას აძლევს საშუალებას, რომ წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა);
- ▶ იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

3.2 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ საკონტრაქტო გარიგება (გარიგებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან;
- ▶ სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი კომპანიის წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ კომპანიაზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის მფლობელებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. შვილობილი კომპანიების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საქმიანობის შედეგები და ფულადი ნაკადები მზადდება იმავე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომლისთვისაც კომპანიისა, ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო პაკეტის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებული მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

3.2 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შემდეგ შვილობილ კომპანიებს მოიცავს:

შვილობილი კომპანიები	წილობრივი მონაწილეობა	რეგისტრაციის ქვეყანა	სფერო	დაფუძნების/შემქმნის თარიღი
სს „მარნეული გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	1 აპრილი, 2009 წ.
სს „წყალტუბო გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ბაღდადი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ზესტაფონი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „აბაშა გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ზუგდიდი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ახმეტა გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „დედოფლისწყარო გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ხარაგაული გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ჩოხატაური გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ლაგოდეხი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ყვარელი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „საგარეჯო გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „გურჯაანი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „სიღნაღი გაზი“	91.88%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ოზურგეთი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ლანჩხუთი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ჭიათურა გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ხოზი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.
სს „ფოთის ბუნებრივი გაზის კომპანია“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო	26 დეკემბერი, 2008 წ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მიერ თავისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები:

(ა) საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება არის შესყიდვის თარიღისთვის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული გადარიცხული ანაზღაურებისა და შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არასაკონტროლო წილების ერთობლიობა. საწარმოთა ყოველი გაერთიანების შემთხვევაში, ჯგუფი წყვეტს, სამართლიანი ღირებულებით შეაფასოს არასაკონტროლო პაკეტები შეძენილ საწარმოში თუ შეძენილი საწარმოს ამოცნობადი წმინდა აქტივების პროპორციული წილით. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე.

როდესაც ჯგუფი შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული საკონტრაქტო ვალდებულებების, ეკონომიკური პირობებისა და მშობელი კომპანიის პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული კომპანიის მიერ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ძირითად ხელშეკრულებებში.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შემძენის მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება კაპიტალად, არ გადაფასდება და მისი შემდგომი გადახდა აღირიცხება კაპიტალში. პირობითი საფასური, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და შეესაბამება ბასს (IAS) 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სამართლიან ღირებულებაში შემდგომი ცვლილებები აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ბასს 39-ის შესაბამისად. სხვა პირობითი ანაზღაურება, რომელიც არ ექცევა ბასს 39-ის მოქმედების არეალში, ფასდება სამართლიანი ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ხოლო სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

გუდვილის აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, და ტოლია წმინდა ამოცნობადი შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების ღირებულების ზემოთ გადახდილი ნამეტი ღირებულებისა (სხვაობა უმცირესობის და მფლობელობაში ადრე არსებულ ნებისმიერ წილში გადახდილ და ნაკისრი ანაზღაურების ჯამს და წმინდა შეძენილ აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებს შორის). თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ საზღაურზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად ამოიცნო თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ საზღაურს, მაშინ ნამეტის აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ა) საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი (გაგრძელება)

პირველადი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თავდაპირველი ღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის, საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი, შეძენის თარიღიდან განაწილდება ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელ თითოეულ ერთეულზე, რომელთა მიერ გაერთიანებიდან სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი, მიუხედავად იმისა, განაწილდება თუ არა შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები თუ ვალდებულებები ამ ერთეულებზე.

როდესაც გუდვილი მიეკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში იმისთვის, რომ მოხდეს გასხვისებით მიღებული შემოსულობის ან ზარალის მართებული განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე მიკუთვნილი გუდვილის განსაზღვრა ხდება გასხვისებული ოპერაციის ღირებულებასა და ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულში შენარჩუნებული ხვედრითი წილის მიხედვით.

(ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება ხდება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ჯგუფმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

ჯგუფი არ ფლობს ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც მიმოქცევაშია აქტიურ ბაზრებზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია 21-ე შენიშვნაში.

(დ) უცხოური ვალუტები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. ჯგუფი თითოეული წევრისთვის განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შვილობილი კომპანიის სამუშაო ვალუტა ლარია, რადგან ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები ფუნქციონირებენ.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, ამას ემატება გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება
(გაგრძელება)

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ორ კატეგორიად იყოფა:

- ▶ სესხები და მისაღები ანგარიშები;
- ▶ გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

სესხები და მისაღები ანგარიშები

ეს კატეგორია ყველაზე აქტუალურია ჯგუფისთვის და, როგორც წესი, ეხება სავაჭრო დებიტორულს დავალიანებას, გაცემულ სესხებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებადი ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებადი ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არაწარმოებული აქტივებია, რომლებიც ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიაშია, ან არ არის კლასიფიცირებული, როგორც სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები თუ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური აქტივები.

ჯგუფს ინვესტიცია აქვს განხორციელებული არაკოტირებულ აქციებში, რომლებითაც ვაჭრობა აქტიურ ბაზარზე არ ხდება და ისინი განეკუთვნება გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების კატეგორიას.

გასაყიდად გამიზნული კაპიტალის ინვესტიციები, რომლებსაც არ აქვთ კოტირებული საბაზრო ფასი აქტიურ ბაზარზე და რომელთა სამართლიანი ღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება შეუძლებელია, ფასდება თვითღირებულებით, რასაც ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აკლდება გამოვლენილი გაუფასურების ზარალი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება
(გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოღება) ძირითადად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივებზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღით აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურება არსებობს იმ შემთხვევაში, თუ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი მინიმუმ ერთი მოვლენა გავლენას ახდენს ფინანსურ აქტივთან ან ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებულ სამომავლო სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ დებიტორი ან დებიტორთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება
(გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივების შემთხვევაში, ჯგუფი ჯერ ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივებისთვის კოლექტიურად განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურება. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომლებზეც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

გაუფასურების ნებისმიერი ზარალის დადგენილი თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების დისკონტირება ხდება ფინანსური აქტივების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთი გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალი აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. სესხები და მისაღები ანგარიშები, მასთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია ჯგუფისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოწერის ამოღება მოგვიანებით მოხერხდება, იგი გატარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილის კრედიტში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება
(გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს, საბანკო ოვერდრაფტებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სესხები და გადასახდელი ანგარიშები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება
(გაგრძელება)

მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხები

სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. სხვაობა მიღებულ თანხებსა და თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას შორის აღირიცხება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი, რაც წარმოადგენს მშობელი კომპანიის დამატებით ინვესტიციას ჯგუფში.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

ჯგუფის მიერ გამოცემული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები არის ისეთი კონტრაქტები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს გადახდა, რათა გარანტიის მფლობელს აუნაზღაურდეს ზარალი, რომელსაც ის განიცდის იმის გამო, რომ კონკრეტული დებიტორი ვერ ფარავს დავალიანებას სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიის კონტრაქტების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით, რაც მერე კორექტირდება გარანტიის გაცემისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯებით. ამის შემდეგ ვალდებულება ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოდგენილი ვალდებულების შესასრულებლად საჭირო დანახარჯების სავარაუდო ოდენობასა და დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებულ აღიარებულ თანხას შორის უდიდესით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის განზრახვა, რათა ერთდროულად მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

(ზ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია შესყიდვის ღირებულებით ან მშენებლობის თვითღირებულებით, რასაც აკლდება ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების დანახარჯები, დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელად, ჯგუფი მათ ცვეთას არიცხავს ცალ-ცალკე, თითოეულის სასარგებლო გამოყენების ვადის მიხედვით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ii) დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება აქტივების ექსპლუატაციაში მიღებიდან.

(iii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ნაწილის გამოცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ მოსალოდნელია ამ ნაწილიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ და თუ შეიძლება მისი თვითღირებულების სარწმუნოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(iv) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(v) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადაა:

მილსადენები	35-50 წელი
შენობა-ნაგებობები	15-25 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და ავეჯი	5-10 წელი
კომპიუტერები და აქსესუარები	5-10 წელი

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ექვსწლიან ვადაზე.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

(ი) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრის შემდგომი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად განაწილება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი შემობრუნების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც შემობრუნება აღირიცხება როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ლ) შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. ჯგუფი შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპულ თუ პრინციპალის აგენტ მხარედ გამოდის. ჯგუფმა დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

(i) ბუნებრივი აირის რეალიზაცია

ბუნებრივი აირის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მომხმარებლებისთვის მისი მიწოდებისთანავე, რასაც მომხმარებლის მრიცხველის ჩვენება მოწმობს. ჯგუფი ძირითადად მექანიკურ მრიცხველებს იყენებს, რაც საჭიროებს ჯგუფის თანამშრომლების ადგილზე მისვლას ჩვენების შესამოწმებლად. მრიცხველის ჩვენება მოწმდება სისტემატურად, მინიმუმ თვეში ერთხელ, მაგრამ არა აუცილებლად ყოველი თვის ბოლო დღეს, რის გამოც გარკვეულ პერიოდებში ბუნებრივი აირი მიწოდებულია, მაგრამ მასზე ქვითარი გამოწერილი არ არის. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ანგარიშგების ნებისმიერი თარიღისათვის ჯგუფს რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის გაზი, რომელზეც ჯერ არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. შემოსავლების გამომანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან ანგარიშგების თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ შემოსავლებს და სავარაუდო შემოსავლებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

(ii) ქსელზე მიერთების საფასური

სემეკის (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია) მიერ დადგენილი წესით, ჯგუფი გაზგამანაწილებელ ქსელზე მიერთებულ ახალ აბონენტებს მიერთების გარკვეულ გადასახადს აკისრებს. მიერთების ღირებულება გამოითვლება ახალი აბონენტების მიერთებაზე ჯგუფის მიერ გაწეული საინვესტიციო დანახარჯების საფუძველზე და რეგულირდება სემეკის მიერ. ხელმძღვანელობა ამ მომსახურებას განიხილავს ცალკე ღირებულების შექმნად მომხმარებლისთვის და შემოსავალს აღიარებს ქსელზემიერთების შემდეგ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ლ) შემოსავლის აღიარება.(გაგრძელება)

(iii) მომსახურების გაწევა

შემოსავლები, რომლებიც უკავშირდება კლიენტებისთვის ტექნიკური და საინჟინრო ხასიათის მომსახურების გაწევას, ასევე კლიენტებისთვის გაზომვარაგების ქსელის გაყვანასა და ჯგუფის ქსელზე მათ მიერთებას, როგორც წესი, მოკლევადიანი ხასიათისაა და მათი აღიარება ხდება მიღებისთანავე.

(iv) საიჯარო შემოსავალი

ქონების ჩვეულებრივი იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე.

(v) საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

(მ) გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(მ) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებით ღირებულების გადასახადს.

დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისგან დაბრუნებას ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, შედის ჩასათვლელ ან გადასახდელ დღგ-ში და აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ნ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან.

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან ბანკში, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ითვლება ჯგუფის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

(ო) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(პ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან მოიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და შეთანხმება იძლევა აქტივის ან აქტივების გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება არ არის მკაფიოდ აღნიშნული შეთანხმებაში.

(i) *ჯგუფი, როგორც მოიჯარე*

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

(ii) *ჯგუფი, როგორც მეიჯარე*

იჯარას, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა.

(ჟ) სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო რწმუნება, რომ ასეთი გრანტი მიიღება და მასთან დაკავშირებული ყველა პირობა დაკმაყოფილდება. როდესაც გრანტი ეხება ხარჯების მუხლს, მისი სისტემატური აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც აღირიცხება ამ გრანტით დასაფარი შესაბამისი დანახარჯები. როდესაც გრანტი უკავშირდება აქტივს, იგი შემოსავლად აღირიცხება თანაბარი ოდენობებით შესაბამისი აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

როდესაც ჯგუფი იღებს არაფულადი აქტივების გრანტებს, აქტივი და გრანტი აღირიცხება მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულებით და აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში თანაბარი წლიური გადახდებით, შესაბამისი აქტივიდან სარგებლის მოხმარების ტენდენციის მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება გასული ფინანსური წლის პოლიტიკას, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი ცვლილებებისა, რომლებიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებულ წლიურ პერიოდებზე:

- ▶ ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“: ინფორმაციის გახსნის ინიციატივა;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში „მოგებიდან გადასახადები: გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“;
- ▶ ცვლილება ფასს 12-ში „განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ“ – ფასს 12-ში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების განმარტება

ბასს 7-ში შესული ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორიცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი) ჩათვლით. ჯგუფმა 25-ე შენიშვნაში წარმოადგინა როგორც მიმდინარე, ისე შედარებადი პერიოდის ინფორმაცია. დანარჩენ სტანდარტებსა და ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ სტანდარტების მიღებას შემდგომ დაგეგმავს აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით.

ჯგუფი აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღისთვის და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას. საერთო ჯამში, ფასს 9-ის მიღების შემდეგ ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავისი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე და კაპიტალზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიღება იმოქმედებს ჯგუფის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. სესხებსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს ჯგუფი ფლობს იმისათვის, რომ მიიღოს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი სახსრები და მოსალოდნელია, რომ დებიტორული ანგარიშები წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. ამრიგად, ჯგუფი მოელის, რომ ეს აქტივები ფასს 9-ის მიხედვითაც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება. ჯგუფმა გააანალიზა ამ ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და დაასკვნა, რომ ისინი აკმაყოფილებს ფასს 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. ამიტომ ამ ინსტრუმენტების ხელახლა კლასიფიკაცია სავალდებულო არ არის.

(ბ) გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. ჯგუფი გამოიყენებს გამარტივებულ მიდგომას და აღრიცხავს ყველა სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე მოსალოდნელ ზარალს მათი მთლიანი ვადის განმავლობაში. ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის კაპიტალზე. მისი სესხები და მისაღები ანგარიშები არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად იგი ჩაატარებს დამატებით დეტალურ ანალიზს, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით.

(გ) ჰეჯირების აღრიცხვა

ჯგუფს ამ ეტაპზე არ აქვს ჰეჯირების ურთიერთობა, ამიტომ იგი არ მოელის ფასს 9-ის გავლენას მისი შემოღების შედეგად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, როდესაც ბასსს დაასრულებს ცვლილებების შეტანას, რითაც ფასს 15-ის ძალაში შესვლის თარიღი ერთი წლით გადავადდება. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. ჯგუფი აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის სრული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. 2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჩაატარა ფასს 15-ის დეტალური ანალიზი, რომლის მიხედვითაც, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ გამოვლენილა.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ბუნებრივი აირის იმპორტი და საქართველოს რეგიონებში იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაზგამანაწილებელი ქსელის მეშვეობით გაყიდვაა.

(ა) ბუნებრივი აირის რეალიზაცია

ბუნებრივი აირის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი წარმოიქმნება დროის გარკვეულ მომენტში საქონლის მიწოდების შედეგად, როდესაც აბონენტი ბუნებრივ აირს მიიღებს. გასაყიდი ტარიფები რეგულირდება სემეკის მიერ. შემოსავლის აღიარება ხდება ყოველთვიურად აბონენტებისთვის სემეკის მიერ დამტკიცებული ტარიფით მიწოდებული ბუნებრივი აირის ფაქტობრივი მოცულობის საფუძველზე. ჯგუფი ბუნებრივ გაზს პირდაპირ კომპანიებზეც ყიდის. ბუნებრივი გაზი იყიდება ცალკეული ხელშეკრულების ფარგლებში. ეს ხელშეკრულებები, რომლებითაც გათვალისწინებული ერთადერთი ვალდებულება ბუნებრივი გაზის გაყიდვაა, ჯგუფის მოგებასა და ზარალზე სავარაუდოდ გავლენას არ მოახდენს. ჯგუფი მოელის, რომ შემოსავლის აღიარება ისეთ დროს მოხდება, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც აქტივის ჩაბარების მომენტში ხდება.

(ბ) მომსახურების გაწევა

შემოსავლები, რომლებიც უკავშირდება კლიენტებისთვის ტექნიკური და საინჟინრო ხასიათის მომსახურების გაწევას, ასევე კლიენტებისთვის გაზმომარაგების ქსელის გაყვანასა და ჯგუფის ქსელზე მათ მიერთებას, როგორც წესი, მოკლევადიანი ხასიათისაა და მათი აღიარება ხდება მიღებისთანავე. მომსახურების ღირებულებას წინასწარ განსაზღვრავს და არეგულირებს სემეკი.

ფასს 15-ის მიღება, სავარაუდოდ, არ იმოქმედებს ჯგუფის შემოსავლის აღიარების პრინციპებზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

(გ) წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები

ფასს 15-ში უფრო დეტალურად არის ასახული წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები, ვიდრე ახლანდელ ფასს-ში. წარდგენის მოთხოვნები საგრძნობლად განსხვავდება არსებული პრაქტიკისგან, თუმცა, ჯგუფის მიერ მიღებული შემოსავლის სპეციფიკური ხასიათის გამო, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებითი შენიშვნების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

2018 წელს ჯგუფი გააგრძელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენის შეფასებას. ჯგუფი ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის აპირებს.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წ.წ. ციკლი (გამოშვებული 2016 წლის დეკემბერში)

ფაისკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“

ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. საწარმოებმა ეს ცვლილებები მთლიანად რეტროსპექტულად უნდა გამოიყენონ.

ან საწარმოს შეუძლია ინტერპრეტაცია პერსპექტიულად გამოიყენოს ყველა აქტივისთვის, ხარჯისა და შემოსავლისთვის, რომლებიც აღიარებულია:

- (i) იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ინტერპრეტაციას, ან
- (ii) წინა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც წარმოდგენილია შედარებადი ინფორმაციის სახით იმ საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ინტერპრეტაციას.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ინტერპრეტაციის ნაადრევი გამოყენება ნებადართულია და უნდა მოხდეს მისი გაცხადება. თუმცა, ვინაიდან ჯგუფის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციას, ჯგუფი არ მოელის, რომ ის რამე გავლენას მოახდენს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია სხვა ცვლილებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებიც ჯგუფზე არ ვრცელდება:

- ▶ საინვესტიციო ქონების გადატანა - ცვლილებები ბასს 40-ში;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“;
- ▶ ფასს (IFRS) 2 „წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის კლასიფიკაცია და შეფასება“ - ცვლილებები ფასს 2-ში;
- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – მოკლევადიანი გამონაკლისების გაუქმება მათთვის, ვინც ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს პირველად იყენებს (ყოველწლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წლების ციკლი (გამოშვებული 2016 წლის დეკემბერში));
- ▶ ბასს (IAS) 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ – განმარტება, რომ ინვესტიციის ობიექტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება მოგებაში ან ზარალში ასახვით თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს;
- ▶ ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს (IFRS) 4-თან „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ერთად - ცვლილებები ფასს (IFRS) 4-ში;
- ▶ ფაისკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია - „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“.

6. შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(i) საეჭვო დავალიანების რეზერვი

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 21,742 ლარი (2016 წ.: 21,742 ლარი) სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის ყველაზე ზუსტი შეფასებაა (მე-13 შენიშვნა).

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის განსჯა, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

(i) ქსელზე მიერთების ღირებულებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაზის ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი არის ცალკე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი და მას აღიარებს გაზგამანაწილებელ ქსელზე მომხმარებლის მიერთებისას.

7. შემოსავალი

	2017	2016
ბუნებრივი აირი - საბითუმო რეალიზაცია	687,956	592,911
ბუნებრივი აირი - კომუნალური მომსახურება	149,880	135,849
გაზიფიკაციის, მონტაჟის და სარემონტო მომსახურება (ა)	29,119	26,773
შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან (მე-18 შენიშვნა)	189	525
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,437	1,408
სულ შემოსავალი	868,581	757,466

- (ა) ჯგუფი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უწევს გაზიფიკაციის, მონტაჟისა და სარემონტო მომსახურებას. ამ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი სამუშაოების დასრულებისთანავე.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
გაზიფიკაციის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების დანახარჯები	18,148	15,068
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	5,708	4,858
ბანკის საკომისიო	3,220	3,769
ობიექტების იჯარა	3,021	2,860
საწვავი	1,899	1,315
სათადარიგო ნაწილების ჩამოწერა	1,458	3,046
რეგულირების საფასური	1,398	1,545
პროფესიული მომსახურება	998	635
სამგზავრო და წარმომადგენლობითი ხარჯები	875	865
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	828	868
კომუნალური მომსახურება და კავშირგაბმულობა	770	651
ქველმოქმედება და სპონსორობა	301	431
დაზღვევა	181	137
სარეკლამო ხარჯები	74	774
სხვა	3,935	2,934
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	42,814	39,756

9. შექმნილი და გაუქმებული ანარიცხები, წმინდა

2017 და 2016 წლებში ანარიცხებსა და რეზერვებში მოძრაობის ანალიზი ასეთია:

	სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი (ა)	გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსების რეზერვი (ბ)	სულ
1 იანვარი, 2016 წ.	19,903	372	20,275
შექმნილი ანარიცხები	3,089	–	3,089
ანარიცხების ჩამოწერა	(1,250)	–	(1,250)
31 დეკემბერი, 2016 წ.	21,742	372	22,114
შექმნილი ანარიცხები	1,275	–	1,275
ანარიცხების ჩამოწერა	(1,275)	–	(1,275)
31 დეკემბერი, 2017 წ.	21,742	372	22,114

(ა) დებიტორული დავალიანების რეზერვი

დებიტორული დავალიანების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა (მე-13 შენიშვნა). შექმნილი რეზერვის ჩამოწერა ხდება ისეთი დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, რომელთა მთლიანად ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

9. შექმნილი და გაუქმებული ანარიცხები, წმინდა (გაგრძელება)

(ბ) გრძელვადიანი აქტივების რეზერვი

ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსების რეზერვი იქმნება გაზიფიკაციის პროექტებთან დაკავშირებით კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსებისთვის. რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კონტრაქენტი არ შეასრულებს შესაბამისი სამშენებლო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. უკვე შექმნილი რეზერვის შემობრუნება ხდება კონტრაქტებისგან გარკვეული სამშენებლო სამუშაოების დაგვიანებით ჩაბარების შემთხვევაში.

10. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება 2017 წლიდან არ იბეგრება მოგების გადასახადით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 103-ე ნაწილის თანახმად, 2008-2016 წლების პერიოდების მოგების განაწილება რეზიდენტ კომპანიაზე, რომელიც 2017 წლის 1 იანვარისთვის გაუნაწილებელია, ასევე ითვლება მოგების განაწილებად და, შესაბამისად, იბეგრება გადასახადით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა მთლიანად შეაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2016 წელს ჯგუფმა აღიარა გადავადებული საგადასახადო აქტივების შემობრუნების შედეგად მიღებული მოგების გადასახადის 4,572 ლარის ოდენობის ხარჯი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

10. მოგების გადასახადის ხარჯი (გაგრძელება)

31 დეკემბრის მდგომარეობით სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯის უმთავრესი კომპონენტებია:

	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადის გადაფასება წინა პერიოდებისთვის	–	1,234
დროებითი სხვაობების წარმოქმნასა და შემოზღუდვასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	–	4,572
მოგების გადასახადი წლის განმავლობაში	–	5,806

ქვემოთ მოცემულია 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების გადასახადის ხარჯსა და საქართველოში მოქმედ საგადასახადო განაკვეთზე სააღრიცხვო მოგების ნამრავლს შორის შედარება:

	2017	2016
წმინდა დივიდენდები / ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	–	11,227
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15/85	15%
თეორიული საგადასახადო სარგებელი 15%-იანი განაკვეთის შემთხვევაში	–	1,684
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი	–	(4,013)
მიმდინარე მოგების გადასახადის გადაფასება წინა პერიოდებისთვის	–	(1,234)
ცვლილება გადავადებული საგადასახადო აქტივების რეზერვში	–	–
სხვაობა საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციის მეთოდებში	–	359
კომერციული დანაკარგი და შესაბამისი დღგ	–	(934)
მშობელი კომპანიისგან მიღებულ სესხზე დარიცხული ფინანსური ხარჯი და საკურსო სხვაობები	–	(2,068)
საგადასახადო ეფექტი სხვა მუხლებზე, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვითვას ან შეფასებას საგადასახადო მიზნებისათვის	–	400
მოგების გადასახადი წლის განმავლობაში	–	(5,806)

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. ძირითადი საშუალებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შედგებოდა შემდეგისგან:

	მიწა	მილსადენები	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები და ავეჯი	კომპიუტერები და აქსესუარები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,685	454,878	4,566	4,726	5,315	6,418	17,861	496,449
შემოსვლები	71	171	109	653	1,997	377	41,489	44,867
გასვლები	(75)	(151)	(17)	(59)	(1,651)	(388)	–	(2,341)
გადატანები	–	49,674	15	–	709	–	(50,398)	–
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,681	504,572	4,673	5,320	6,370	6,407	8,952	538,975
შემოსვლები	4	–	–	–	–	1,477	144,724	146,205
გასვლები	(75)	(2,310)	–	(15)	(358)	(1,177)	–	(3,935)
გადატანები	–	148,082	–	141	7	–	(148,230)	–
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,610	650,344	4,673	5,446	6,019	6,707	5,446	681,245
ცვეთა								
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	85,760	1,051	2,815	2,933	3,275	–	95,834
ცვეთა წლის განმავლობაში	–	13,017	286	587	1,294	515	–	15,699
გასვლები	–	(40)	(5)	(43)	(880)	(118)	–	(1,086)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	98,737	1,332	3,359	3,347	3,672	–	110,447
ცვეთა წლის განმავლობაში	–	14,889	220	614	1,227	502	–	17,452
გასვლები	–	(1,715)	–	(10)	(110)	–	–	(1,835)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	111,911	1,552	3,963	4,464	4,174	–	126,064
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,681	405,835	3,341	1,961	3,023	2,735	8,952	428,528
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,610	538,433	3,121	1,483	1,555	2,533	5,446	555,181

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მილსადენებით უზრუნველყოფილია ადგილობრივი ბანკებიდან აღებული სესხები (მე-17 შენიშვნა).

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. გასაყიდად გამიზნული ინვესტიციები

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ფლობს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს - სს „საქორგაზის“ 4.98%-ს. სს „საქორგაზი“ საქართველოს რეგიონებში ახორციელებს ბუნებრივი აირის განაწილებას გაზგამანაწილებელი ქსელის მეშვეობით „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიწოდების არეალში.

2017 წელსა და 2016 წელს ჯგუფს არ მიუღია დივიდენდები თავისი გასაყიდად გამიზნული ინვესტიციიდან. ინვესტიცია სს „საქორგაზში“ აღრიცხულია ნულოვანი ღირებულებით, რაც არის თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ინვესტიციას არ აქვს აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი და სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია. ინვესტიციის ობიექტის წმინდა აქტივები უარყოფითია.

13. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები ბუნებრივი აირის გაყიდვიდან (საბითუმო)	198,037	218,247
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები ბუნებრივი აირის გაყიდვიდან (კომუნალური)	72,173	63,287
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები გაზიფიკაციიდან	16,830	15,441
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები ტექნიკური სამუშაოებიდან და სხვა მომსახურებიდან	22,015	22,407
გამოკლებული: რეზერვი (მე-9 შენიშვნა)	(21,742)	(21,742)
	287,313	297,640

კომუნალური ბუნებრივი აირის გაყიდვიდან სავაჭრო დებიტორული ანგარიშები გამოხატულია ლარში და აქვს 30-დღიანი ვადა. სავაჭრო დებიტორული ანგარიშები ბუნებრივი გაზის ბითუმად გაყიდვიდან ასევე ლარშია გამოხატული და, როგორც წესი, 60-დღიანი ვადა აქვს. სავაჭრო დებიტორული ანგარიშები უპროცენტოა.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით შემდეგია:

		არც ვადაგადაცი- ლებული, არც გაუფასუ- რებული	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული			
	სულ		<60 დღე	60-90 დღე	90-180 დღე	>180 დღე
31 დეკემბერი, 2017 წ.	287,313	200,323	12,715	4,412	31,657	38,206
31 დეკემბერი, 2016 წ.	297,640	219,347	11,502	3,587	31,674	31,530

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სავაჭრო დებიტორული ანგარიშების ნაშთი ძირითადად შედგება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს - სს „საქორგგაზის“ დავალიანებისგან. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით რისკები არ აქვს, რადგან ჯგუფს საბოლოო მშობელი კომპანია აკონტროლებს, რომელსაც, თავის მხრივ, აკონტროლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

14. გაცემული სესხები

2012 წლის 21 დეკემბერს კომპანიასა და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“ (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება 60,000 ლარზე. სესხის პროცენტი იყო 16%, ვადა კი განისაზღვრა 2014 წლის 31 დეკემბრამდე. სესხის ძირითადი მიზანი იყო შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მხარდაჭერა საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობაში.

2013 წლის 1 დეკემბერს მხარეებმა გააფორმეს შეცვლილი ხელშეკრულება. საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 10%-მდე, სესხის ძირითადი თანხა გაიზარდა 90,000 ლარამდე და დაფარვის ვადა გაგრძელდა 2016 წლის 31 დეკემბრამდე. 2016 წლის 31 დეკემბერს მხარეებმა ხელშეკრულება შეცვალეს და სესხის დაფარვის ვადა 2017 წლის 31 დეკემბრამდე გააგრძელეს. 2017 წლის 31 დეკემბერს მხარეებმა ხელშეკრულება შეცვალეს და სესხის დაფარვის ვადა 2018 წლის 31 დეკემბრამდე გააგრძელეს. გაცემული სესხების მთლიანი ოდენობა, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმისგან“ მისაღები პროცენტის ჩათვლით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 34,034 ლარი (2016 წ.: 65,730 ლარი). 2017 წლის განმავლობაში სესხზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 2,112 ლარი (2016 წ.: 4,673 ლარი) (23-ე შენიშვნა).

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	7	4
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	4,882	2,059
	4,889	2,063

ფულადი სახსრები განთავსებულია წამყვან ქართულ ბანკებში. ფულად ანგარიშებს ერიცხება პროცენტი, რომლის ოდენობაც უმნიშვნელოა.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 147,294 ლარს შეადგენს (2016 წ.: 49,686 ლარი).

2017 წლის 20 აპრილს მშობელი კომპანიის მფლობელებმა გადაწყვიტეს ჯგუფის საწესდებო კაპიტალის გაზრდა 40,000,000 აშშ დოლარის ოდენობით მფლობელის მიერ კაპიტალში შენატანის სახით. მშობელმა კომპანიამ ჯგუფის საწესდებო კაპიტალი გაზარდა 36,800,000 აშშ დოლარის ფულადი სახსრებით (89,669 ლარი) და გაცემულ სესხზე ჯგუფისგან მისაღები სასესხო დავალიანებიდან 3,200,000 აშშ დოლარის (7,939 ლარი) გარდაქმნით.

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოდგენილია მშობელი კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალში დამატებით განხორციელებული შენატანებით და მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხის ტრანშების სამართლიან ღირებულებასა და თავდაპირველად აღიარებისას არსებულ ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობით.

17. სესხები და გადასახდელი ანგარიშები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
გრძელვადიანი		
მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხი	86,189	130,953
სხვა გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	32,947	9,376
	119,136	140,329
მიმდინარე		
სხვა მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	160,425	152,002
	160,425	152,002

მიმდინარე სესხების პირობები:

	ხელშეკრულების ვადა	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხი (ა)	15 აგვისტო, 2020წ.	86,189	130,953
ადგილობრივი ბანკებისგან მიღებული სესხები (ბ)	2017-2019	193,372	161,378
		279,561	292,331

(ა) მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი კომპანიისგან მიღებული საკრედიტო ლიმიტის ოდენობა შეადგენდა 115,000,000 აშშ დოლარს შეადგენდა (189,474 ლარი) და მისი დაფარვის თარიღი იყო 2019 წლის 15 აგვისტო, რა დროსაც უნდა გადახდილიყო როგორც ძირითადი თანხა, ისე პროცენტი.

2017 წლის 27 იანვარს სასესხო ხელშეკრულების პირობები გადაიხედა, კერძოდ, პროცენტი შემცირდა და სესხის დაფარვის ვადა 2020 წლის 15 აგვისტომდე გაგრძელდა.

2017 წლის ოქტომბერში 3,200,000 აშშ დოლარის ოდენობით დარიცხული პროცენტი გარდაიქმნა ჯგუფის საწესდებო კაპიტალად (მე-16 შენიშვნა).

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. სესხები და გადასახდელი ანგარიშები (გაგრძელება)

(ა) მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხი (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში აუთვისებელი სასესხო ვალდებულება 105,120,000 აშშ დოლარს შეადგენდა (2016 წ.: 90,035,000 აშშ დოლარი). ამ თანხების ასათვისებლად საჭირო იქნება მშობელი კომპანიისგან დამატებითი ანაზღაურების მიღება, ამიტომ ხელმძღვანელობა ამ კრედიტს დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომად არ მიიჩნევს.

(ბ) ადგილობრივი ბანკებისგან მიღებული სესხები

ადგილობრივ ბანკებთან გაფორმებული გარკვეული სასესხო ხელშეკრულებები ჯგუფს ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს დარღვეული ჰქონდა ამ სესხებიდან ზოგიერთის პირობები, საერთო საბალანსო ღირებულებით 191,211 ლარი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ყველა დარღვევაზე აქვს მიღებული მოთხოვნის უფლების დათმობის წერილები, რითაც ბანკები მინიმუმ 2018 წლის 31 დეკემბრამდე თმობენ სესხის პირობების დარღვევის გამო დავალიანების დაფარვის მოთხოვნის უფლებას. ჯგუფი არ მოელის ამ სესხებიდან რომელიმეს დაფარვას მათი სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე.

(გ) ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

2017 წელს საპროცენტო ხარჯი მშობელი კომპანიისგან მიღებულ სესხზე შეადგენდა 6,261 ლარს (2016 წ.: 20,555 ლარი).

ადგილობრივი ბანკებისგან აღებულ სესხებზე საპროცენტო ხარჯი გაუტოლდა 17,190 ლარს (2016 წ.: 9,671 ლარი).

ძირითად საშუალებებზე კაპიტალიზებული საპროცენტო ხარჯი შეადგენდა 6,513 ლარს (2016 წ.: 2,395 ლარი). გამოყენებული კაპიტალიზაციის ნორმა 11.54%-ს შეადგენდა (2016 წ.: 10.13%)

2015-2017 წლებში ჯგუფმა საქართველოს მთავრობისგან გადავადებული გადახდის პირობებით გარკვეული ძირითადი საშუალებები შეისყიდა. მთლიანი დავალიანების გრძელვადიანი ნაწილი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 7,873 ლარი იყო (2016 წ.: 4,603 ლარი). ამ დავალიანების მოკლევადიანი ნაწილი მიეკუთვნება მშენებლობასთან დაკავშირებულ მოკლევადიან ვალდებულებებს და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის გაუტოლდა 8,118 ლარს (2016 წ.: 15,514 ლარი). 2017 წელს ჯგუფმა აღიარა მთავრობისგან ძირითადი საშუალებების შესყიდვის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებაზე გაწეული ფინანსური დანახარჯი 256 ლარის ოდენობით (2016 წ.: 2,347 ლარი).

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. სახელმწიფო გრანტი

მიღებული სახელმწიფო გრანტების ცვლილებების ანალიზი შემდეგნაირად შეიძლება:

	2017	2016
1 იანვრის მდგომარეობით	5,778	6,303
წლის განმავლობაში მიღებული	–	–
აღიარებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(189)	(525)
	5,589	5,778

სახელმწიფო გრანტი მიღებულია არაფულადი აქტივების, მაგალითად, გაზის მიღსადენების და სხვა აღჭურვილობის, გადმოცემის სახით. ჯგუფი აფასებს აქტივების სამართლიან ღირებულებას და აქტივებს და გრანტებს ამ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხავს.

19. საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
გადასახდელი დღგ	25,415	20,135
ხელფასებთან დაკავშირებული გადასახადები	1,432	21
ქონების გადასახადი	967	4,073
	27,814	24,229

20. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
გაზის შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება (ა)	273,315	398,017
მშენებლობასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულებები (ბ)	112,769	49,904
სხვა დავალიანება	4,992	4,549
	391,076	452,470

(ა) გაზის შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება

გაზის შესყიდვასთან დაკავშირებული დავალიანების სახელშეკრულებო პირობები:

- ▶ კრედიტორული დავალიანება უპროცენტოა და, ჩვეულებრივ, 45 დღეში იფარება;
- ▶ კრედიტორული დავალიანება ძირითადად ლარსა და აშშ დოლარშია გამოხატული;
- ▶ კრედიტორული დავალიანება ძირითადად საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ არსებობს. ამ დავალიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ვადაგადაცილებულია. სავაჭრო ანგარიშების ვადაგადაცილების დაშვება საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ ჯგუფის დაფინანსების ერთ-ერთი მექანიზმია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

20. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (გაგრძელება)

(ბ) მშენებლობასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულებები

როგორც 22 (ა) შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფს აღებული ჰქონდა 250,000,000 აშშ დოლარის დაბანდების ვალდებულება საქართველოს რეგიონების გაზიფიკაციაში და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძინა 250,000 ახალი მომხმარებელი. ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულებები ძირითადად გაზიფიკაციის პროექტს უკავშირდება.

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

მიმოხილვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება და გარანტიების გაცემა თავისი ოპერაციების მხარდასაჭერად. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სესხებს, სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს და ნაღდი ფულის ნაშთს მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება.

ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. ჯგუფი არის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება მშობელი კომპანიისა და საბოლოო მშობელი კომპანიის დონეზე. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა ჯგუფს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფს საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო დებიტორული ანგარიშები) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან, სავალუტო გარიგებებიდან და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე.

სავაჭრო დებიტორული ანგარიშების ნაშთი შედგება იმ აბონენტებისგან მისაღები ანგარიშებისგან, რომლებსაც ჯგუფი ბუნებრივ გაზს აწვდის და იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის გაწეულ გაზიფიკაციის მომსახურებაში მისაღები ანგარიშებისგან.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც ჯგუფთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. სესხები გაიცემა მხოლოდ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებზე საქართველოში სოკარის ჯგუფის ფულადი სახსრების მართვის პროცესის ფარგლებში.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ანგარიშგების თარიღისთვის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა იყო:

	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები (მე-13 შენიშვნა)	287,313	297,640
გაცემული სესხები (მე-14 შენიშვნა)	34,034	65,730
სხვა აქტივები	4,474	9,962
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (მე-15 შენიშვნა)	4,882	2,059
	330,703	375,391

ჯგუფის სავაჭრო დებიტორული ანგარიშების და გაცემული სესხების საკრედიტო რისკის მართვის შესახებ უფრო დაწვრილებით მოთხრობილია 23-ე შენიშვნაში.

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით დაფარვას. ლიკვიდურობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ჯგუფს მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს, ამიტომ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს ჯგუფს საკმარის მოქნილობას ვალდებულებების დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც აუცილებელია მომავალში ბიზნესის საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ მოცემული ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები, პროცენტის სავარაუდო გადახდების ჩათვლით. ფულადი ნაკადების ვადები და თანხები სავარაუდოდ არ იქნება განსხვავებული ვადიანობის ანალიზში აღწერილისგან.

	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულ ებო ფულადი ნაკადები	30 დღეზე ნაკლები ნაკლები	1-დან 5 წლამდე
31 დეკემბერი, 2017 წ.				
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები და გადასახდელი ანგარიშები (მე-17 შენიშვნა)	279,561	296,803	164,228	132,575
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-20 შენიშვნა)	391,076	391,076	391,076	–
	670,637	687,879	555,304	132,575

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2016 წ.	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულ ებო ფულადი ნაკადები	30 დღეზე ნაკლები ნაკლები	1-დან 5 წლამდე
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები და გადასახდელი ანგარიშები (მე-17 შენიშვნა)	292,331	326,927	153,051	173,876
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-20 შენიშვნა)	452,470	452,470	452,470	–
	744,801	779,397	605,521	173,876

ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის მართვის შესახებ უფრო დაწვრილებით მოთხრობილია მე-3 შენიშვნაში.

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს შეიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ჯგუფს არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან ყველა სესხსა და გადასახდელი ანგარიშს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკი მოქმედებს, არის სესხები და გადასახდელი ანგარიშები, სავაჭრო კრედიტორული დავალიანება და მიმდინარე ანგარიშები ბანკებში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ეხება პოზიციას 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მგრძნობელობის ანალიზი მომზადებულია იმის საფუძველზე, რომ წმინდა ვალის ოდენობა, სესხის განაკვეთის პროფილი და ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტებში მუდმივია.

ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ჯგუფისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ჯგუფი არ ახდენს სავალუტო კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მოცულობა

ჯგუფის სავალუტო რისკები ასეთია:

	აშშ დოლარში გამოხატული		ევროში გამოხატული	
	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	690	802	3	–
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(186,699)	(125,959)	–	–
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(206,505)	(276,110)	(753)	–
რისკის ნეტო ოდენობა	(392,514)	(401,267)	(750)	–

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

ქვედა ცხრილებში ასახულია მგრძნობელობა აშშ დოლარისა და ევროს სავალუტო კურსის გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია. ჯგუფის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე) გავლენას ახდენს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებების ცვლილება. ჯგუფის ყველა დანარჩენ ვალუტასთან დაკავშირებული რისკები არ არის არსებითი.

	გამყარება	გაუფასურება
31 დეკემბერი, 2017 წ.		
აშშ დოლარი (13.5%/-9.5%-იანი ცვლილება)	(52,989)	35,326
ევრო (16%/-12%-იანი ცვლილება)	(120)	90
31 დეკემბერი, 2016 წ.		
აშშ დოლარი (14%/-7%-იანი ცვლილება)	(56,178)	28,089

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(დ) სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

	საბალანსო ღირებულება		სამართლიანი ღირებულება	
	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები (მე-13 შენიშვნა)	287,313	297,640	287,313	297,640
გაცემული სესხები (მე-14 შენიშვნა)	34,034	65,730	31,469	62,831
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-15 შენიშვნა)	4,889	2,063	4,889	2,063
ფინანსური აქტივები, სულ	326,236	365,433	323,671	362,534
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები და გადასახდელი ანგარიშები (მე-17 შენიშვნა)	(279,561)	(292,331)	(275,271)	(292,925)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-20 შენიშვნა)	(391,076)	(452,470)	(391,076)	(452,470)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(670,637)	(744,801)	(666,347)	(745,395)

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო დებიტორული ანგარიშები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო.
- ▶ გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები და გაცემული სესხები არის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე და კორექტირდება იმ სამართლიანი ღირებულების მისაღებად, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი თარიღით არსებულ საბაზრო განაკვეთებს ეყრდნობა;
- ▶ ყველა ის ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც გაცხადებულია, ფასდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონით. სამართლიანი ღირებულების იერარქიაში ცვლილება 2016 წლიდან არ მომხდარა;

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ე) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

22. პირობითი ვალდებულებები

(ა) ვალდებულებები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ

2008 წელს ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში ქვეყნის რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 19 გაზგამანაწილებელი კომპანიის პრივატიზაციასთან დაკავშირებით. ამ კომპანიების შესასყიდად გადახდილმა თანხამ 100,000 აშშ დოლარი შეადგინა. რეგიონული გაზგამანაწილებელი კომპანიების შესყიდვის შედეგად ჯგუფს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებების შესრულება 2012 წლის 10 თებერვლამდე: საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი აირის 150,000 ახალი მომხმარებლისთვის წვდომის მინიჭება, 40,000,000 აშშ დოლარის ინვესტიციის ჩადება გაზგამანაწილებელი სისტემის განვითარებაში საქართველოს ტერიტორიაზე და შესყიდვის დღეს გაზგამანაწილებელი კომპანიებისგან გადმოცემული 15,851 ლარის დავალიანების გასტუმრება.

რეგიონული გაზგამანაწილებელი კომპანიების შესყიდვის შედეგად ჯგუფს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებების შესრულება 2012 წლის 10 თებერვლამდე: საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი აირის 150,000 ახალი მომხმარებლისთვის წვდომის მინიჭება, 40,000,000 აშშ დოლარის ინვესტიციის ჩადება გაზგამანაწილებელი სისტემის განვითარებაში საქართველოს ტერიტორიაზე და შესყიდვის დღეს გაზგამანაწილებელი კომპანიებისგან გადმოცემული 15,851 ლარის დავალიანების გასტუმრება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებულ თავდაპირველ ხელშეკრულებაში რამდენიმე ცვლილება შევიდა, რითაც გაიზარდა საინვესტიციო ვადის ხანგრძლივობა და გაზგამანაწილებელ ქსელზე მისაერთებელი აბონენტების რაოდენობა. 2011 წლის 5 ოქტომბერს მხარეებს შორის გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება საინვესტიციო ვადის 2013 წლის 10 თებერვლამდე გასაგრძელებლად.

2013 წლის 25 მარტს ჯგუფმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარუდგინა ანგარიში და ანგარიშგება იმის თაობაზე, რომ მას პრივატიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება შესრულებული ჰქონდა. ანგარიშგების აუდიტი განახორციელეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის მისაღებმა დამოუკიდებელმა აუდიტორებმა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(ა) ვალდებულებები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ (გაგრძელება)

2013 წლის 19 დეკემბერს, ჯგუფთან მოლაპარაკებების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც საინვესტიციო ვალდებულება გაიზარდა 250,000,000 აშშ დოლარამდე, ხოლო დამატებითი აბონენტების რაოდენობა - 250,000-მდე. ამ დადგენილებით განისაზღვრა, რომ მხარეთა შორის უნდა გაფორმებულიყო კიდევ ერთი ცვლილება ხელშეკრულებაში. 2014 წლის 8 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ და ჯგუფმა გააფორმეს შეცვლილი ხელშეკრულება საინვესტიციო ვალდებულების 250,000,000 აშშ დოლარამდე, ხოლო გაზგამანაწილებელ ქსელზე დამატებით მისაერთებელი აბონენტების რაოდენობის 250,000-მდე გაზრდის თაობაზე. გაზრდილი ვალდებულებების შესრულების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი წლიანი პერიოდით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა შეასრულე ვალდებულება და 2018 წლის 27 თებერვალს მიიღო დადასტურების წერილი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან.

(ბ) სხვა საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

ჯგუფს აქვს დარიცხული ანარიცხები, ხელმძღვანელობის ყველაზე ზუსტ შეფასებებზე დაყრდნობით. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღქმა შეიძლება ექვემდებარებოდეს დააყენონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს თავის საგადასახადო პოზიციას და განიხილავს იმ გარიგებებს, რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდეს საგადასახადო ორგანოებმა. როდესაც ამის ალბათობა მაღალია, ჯგუფი ქმნის შესაბამის ანარიცხებს. ხელმძღვანელობის შეფასებით, საგადასახადო რისკი, რომელიც არ აკმაყოფილებდა ანარიცხების შექმნისთვის საჭირო კრიტერიუმებს, 2015 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის არსებითი.

(გ) იჯარა – ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფს კომერციული იჯარა აქვს გაფორმებული სათავო ოფისსა და სერვისცენტრებზე. ამ იჯარის საშუალო ვადა ერთი წელია და ხელშეკრულებებში იჯარის განახლება არ არის გათვალისწინებული. ეს ხელშეკრულებები ჯგუფს არანაირ შეზღუდვებს არ უწესებს.

არაგაუქმებადი ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები 31 დეკემბრისთვის:

	2017	2016
ერთი წლის განმავლობაში	1,328	1,252

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(დ) გაცემული გარანტიები

2017 და 2016 წლებში ჯგუფმა გააფორმა საგარანტიო შეთანხმებები მესამე მხარეების სასარგებლოდ. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ გარანტიებზე რეზერვის შექმნა არ არის სავალდებულო, რადგან ვალდებულების შეუსრულებლობის (დეფოლტის) რისკი უმნიშვნელოა.

ღია საგარანტიო ხელშეკრულებები 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის:

ვალდებულების მქონე მხარე	დაფარვის ვადა	2017	2016
შპს „ინტერ გაზი“	9 ივლისი, 2018 წ.	500 ლარი	1,700 ლარი
შპს „ტინგო“	6 ივლისი, 2018 წ.	100 ლარი	150 ლარი
შპს „გაგაზ“	15 ივნისი, 2018 წ.	350 ლარი	320 ლარი
შპს „კომპანი კავკასუს“	8 ივნისი, 2017 წ.	–	260 ლარი
შპს „ალიონი“	15 ივნისი, 2018 წ.	1,500 ლარი	600 ლარი
შპს „უნიშენი“	6 ივლისი, 2018 წ.	3,000 ლარი	–
შპს „გაზ სერვისი“	16 ივნისი, 2018 წ.	2,800 ლარი	–
შპს „გაზ სერვისი“	20 ივნისი, 2018 წ.	200 ლარი	–
შპს „ჯორჯია გაზ პროექტი“	6 ივლისი, 2018 წ.	2,800 ლარი	–
შპს „გაზ კონსტრაქტი“	6 ივლისი, 2018 წ.	2,000 ლარი	–
შპს „ინტერსერვის-2011“	15 ივნისი, 2018 წ.	1,500 ლარი	–
შპს „გურიამშენი“	6 ივლისი, 2018 წ.	1,000 ლარი	–
	20 ივლისი, 2018 წ.		
შპს „მდმ სერვისი“	წ.	3,750 ლარი	–
	26 ივლისი, 2018 წ.		
შპს „მდმ სერვისი“	წ.	1,500 ლარი	–
	16 ივლისი, 2018 წ.		
შპს „ექსპრესსერვისი 2008“	წ.	750 ლარი	–
შპს „სითი გაზი“	16 ივნისი, 2018 წ.	700 ლარი	–
მშენებელი 2011	6 ივლისი, 2018 წ.	250 ლარი	–

23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) გარიგებები ხელმძღვანელობასთან

ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 2017 წელს ერთი პირისგან შედგებოდა (2016 წ.: ორი). 2017 წელს მათ მიერ მიღებული ანაზღაურების ჯამი 202 ლარს შეადგენდა (2016 წ.: 247 ლარი) და მოიცავდა ხელფასებსა და თანამშრომელთა სხვა სარგებელს.

ჯგუფის გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ქვემოთ.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ა) გარიგებები ხელმძღვანელობასთან (გაგრძელება)

(i) დანახარჯები

	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან 2017 წლის განმავლობაში	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან 2016 წლის განმავლობაში	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2016 წლის 31 დეკემბრისთვის
შესყიდვები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებისგან				
სოკარის გაზის საოპერაციო განყოფილება	566,920	446,813	206,505	275,496
სოკარის გაზის ექსპორტ- იმპორტი	112,541	108,135	44,242	73,680
სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის ჯგუფი	29,647	21,430	20,218	18,111
სოკარის წარმომადგენლობა საქართველოში	1,927	1,877	212	200
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	1,874	–	–	–
	712,909	578,255	271,177	367,487

(ii) შემოსავალი

	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე 2017 წლის განმავლობაში	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე 2016 წლის განმავლობაში	მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2016 წლის 31 დეკემბრისთვის
შემოსავალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირებისგან				
სოკარის გაზის ექსპორტ- იმპორტი	184,996	148,053	99,794	104,230
სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის ჯგუფი	50,908	52,705	39,817	45,015
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	1,934	–	1,246	–
სოკარის წარმომადგენლობა საქართველოში (ა)	–	–	3,930	3,388
	237,838	200,758	144,787	152,633

- (ა) ეს თანხა ქართული ეკლესია-მონასტრების სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას, რომელიც გადაეცა - საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს საქართველოში სოკარის წარმომადგენლობას. 2016 წლის 1 იანვარს ჯგუფმა, სოკარის წარმომადგენლობამ საქართველოში და საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკურმა სამსახურმა და გაზის სხვა მომწოდებლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას. ამ შეთანხმების თანახმად, საქართველოში სოკარის წარმომადგენლობამ აიღო ქართული ეკლესია-მონასტრების მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარების ხარჯის ანაზღაურების პასუხისმგებლობა.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ა) გარიგებები ხელმძღვანელობასთან (გაგრძელება)

(iii) მიღებული სესხები

	საპროცენტო ხარჯი 2017 წ.	საპროცენტო ხარჯი 2016 წ.	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 31 დეკემბერი, 2017 წ.	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 31 დეკემბერი, 2016 წ.
მიღებული სესხები მშობელი კომპანია (მე-17 შენიშვნა)	6,261	20,555	86,189	130,953
	6,261	20,555	86,189	130,953

	საპროცენტო შემოსავალი 2017 წ.	საპროცენტო შემოსავალი 2016 წ.	მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ 31 დეკემბერი, 2017 წ.	მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ 31 დეკემბერი, 2016 წ.
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებზე გაცემული სესხები სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი (SOCAR Georgia Petroleum) (მე-14 შენიშვნა)	2,112	4,673	34,034	65,730
	2,112	4,673	34,034	65,730

როგორც 21-ე შენიშვნაში განიმარტა, ჯგუფის ფინანსური რისკები მშობელი კომპანიისა და საბოლოო მშობელი კომპანიის დონეზე იმართება. სესხები და სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს შორის გაიცემა მშობელი კომპანიისა და საბოლოო მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით ფულადი სახსრების და ლიკვიდურობის მართვის თაობაზე. გაცემული სესხები ხშირად გაიქვითება ერთმანეთთან, გარდაიქმნება კაპიტალად ან დაიფარება სხვა საშუალებით, რაც არ გულისხმობს ფულის ფაქტობრივ გადახდას.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსგან - შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმისგან“ მისაღებ სასესხო დავალიანებას ვადა 2018 წლის 31 დეკემბერს ეწურება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს სესხის ამოღებასთან დაკავშირებული რისკი, რადგან ჯგუფს აქვს მშობელი კომპანიის მიმართ დავალიანება 86,189 ლარის ოდენობით და მშობელმა კომპანიამ დაადასტურა, რომ არ მოითხოვს ამ თანხის გადახდას შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმისგან“ მისაღებ სასესხო დავალიანებაზე მეტი ოდენობით.

სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის ჯგუფის დავალიანება უკვე ვადაგადაცილებულია. ჯგუფი არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო, რომლის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის სოკარი. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით რისკები არ აქვს, რადგან ჯგუფს საბოლოო მშობელი კომპანია აკონტროლებს. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ძლიერი მფლობელის არსებობა ამ საწარმოებში საკმარისი მტკიცებულებაა იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში ის შესძლებს ამ დავალიანების წარმატებით ამოღებას.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

24. არაფულადი ოპერაციები

31 დეკემბრით დასრულებული წლების საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობა, რომლისთვისაც საჭირო არ გამხდარა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების გამოყენება იყო:

	2017	2016
გადავადებული გადახდის პირობით შესყიდული ძირითადი საშუალებები (ა)	62,361	11,535
გრძელვადიანი გადავადებული გადახდის პირობებით შესყიდული ძირითადი საშუალებები (ბ)	3,270	7,442
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსების გამოყენება (გ)	109	161
სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია (მე-17 შენიშვნა)	6,513	2,395
სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაზე დარიცხული ფინანსური ხარჯი (ბ)	256	2,347
საწესდებო კაპიტალში გადატანილი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	7,939	–

- (ა) ძირითად საშუალებებში გადასახდელი თანხები აღრიცხულია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისა და გადავადებული შემოსავლის ნაწილში.
- (ბ) 2016-2017 წლებში ჯგუფმა შეისყიდა გარკვეული ძირითადი საშუალებები მთავრობისგან გადავადებული გადახდის პირობებით. 2017 წელს ჯგუფმა აღიარა ამ სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაზე დარიცხული ფინანსური ხარჯი 256 ლარის ოდენობით (2016 წ.: 2,347 ლარი).
- (გ) ძირითადი საშუალებების შემოსვლები მოიცავს მოძრაობას 2017 და 2016 წლებში გრძელვადიან აქტივებში გადახდილ ავანსებში.

25. ცვლილება საფინანსო საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

	1 იანვარი, 2017 წ.	მიღებული ძირითადი თანხა	გადახდილი ძირითადი თანხა	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	გადახდილი პროცენტი	გადატანა საწესდებო კაპიტალში	წმინდა საკუროს ზარალი / (შემოსულობა)	31 დეკემბერი, 2017 წ.
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	292,331	686,491	(688,075)	23,451	(20,161)	(7,939)	(6,537)	279,561
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები, სულ	292,331	686,491	(688,075)	23,451	(20,161)	(7,939)	(6,537)	279,561

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

25. ცვლილება საფინანსო საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში (გაგრძელება)

	1 იანვარი, 2016 წ.	მიღებული ძირითადი თანხა	გადახ- დილი ძირითადი თანხა	ფინანსურ საქმიანო- ბაზე გაწეული დანახარ- ჯები	გადახ- დილი პროცენტი	გადატანა საწესდებო კაპიტალში	წმინდა საკურო ზარალი / (შემოსუ- ლობა)	31 დეკემბერი, 2016 წ.
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	211,447	233,731	(158,089)	30,226	(48,645)	–	23,661	292,331
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებუ- ლებები, სულ	211,447	233,731	(158,089)	30,226	(48,645)	–	23,661	292,331

26. აუდიტორის გასამრჯელო

ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შედგება ჯგუფის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელოსგან 26 ლარის ოდენობით (2016 წ.: 53 ლარი), დღგ-ის გარეშე.

სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის მათ მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებაში გადასახდელი გასამრჯელო და ასანაზღაურებელი დანახარჯები შეადგენდა 178 ლარს (2016 წ.: 184 ლარი), დღგ-ის გარეშე.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელებს,

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 22 ივნისს გაცემულ ჩვენს დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,
შპს „იუაი საქართველო“ სახელით

თბილისი, საქართველო
26 სექტემბერი 2018

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა	3
2. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	3
3. ორგანიზაციული სტრუქტურა	5
4. სამოქმედო ბაზრები და კონკურენტების ანალიზი	5
5. 2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები	7
6. კომპანიის განვითარების გეგმები	8
7. ინვესტიციები ბუნებრივი გაზის განაწილების სფეროში	9
8. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	10
9. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა	13
10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	15
11. ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორები	16
12. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა ...	18
13. მარკეტინგული სტრატეგია და საზოგადოებასთან ურთიერთობა	20
14. გამოყენებული მასალები	21



საქმიანობის მიმოხილვა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია (SOCAR), საქართველოს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სექტორში 2006 წლიდან საქმიანობს.

საქართველოში კომპანია „SOCAR“-ის აფილირებული კომპანიები გაზის სექტორში არიან შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“, სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“ და სს „საქორგაზი“, შემდგომში ერთობლივად წოდებული - „სოკარ გაზი“-ს ჯგუფი.

„სოკარ ჯორჯია გაზი“-ს ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის მიწოდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე, ასევე გაზის განაწილება საქართველოს რეგიონებში თავის სალიცენზიო არეალში.

კომპანიის აქციების 100% წილის მფლობელია „სოკარ ენერჯი ჯორჯია“. „სოკარ ჯორჯია გაზი“ საქართველოში 2007 წლიდან ოპერირებს და ამ ხნის განმავლობაში უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის გაზის უსაფრთხო და უწყვეტ მიწოდებას, აბონენტთა გაზიფიცირებას, ასევე ახორციელებს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელების მშენებლობას, რეაბილიტაციას და ექსპლუატაციას.

2008 წლიდან „სოკარ ჯორჯია გაზმა“ 600-ზე მეტ ქალაქში, სოფელსა და დასახლებულ პუნქტში ააშენა სრულიად ახალი გაზგამანაწილებელი ქსელი, რომელთა საერთო სიგრძე 9 957 კმ-ს შეადგენს. ეს ქსელი უზრუნველყოფს 300 ათასი ახალი (პოტენციური) აბონენტის გაზიფიცირებას. ასევე განხორციელდა 608 კმ. სიგრძის არსებული გაზის ქსელების ძირეული რეაბილიტაცია, მთლიანობაში 2008-2017 წლებში საინვესტიციო დანახარჯებმა შეადგინეს 290 მლნ აშშ დოლარზე მეტი, კომპანიის მიერ იმპორტირებულია სულ 6033,7 მლნ. კუბ.მ. ბუნებრივი გაზი. დღეისათვის აბონენტების რაოდენობითა და აქტივების ღირებულების მიხედვით, „სოკარ ჯორჯია გაზი“ წამყვანი კომპანიაა ბაზარზე.

2010 წლიდან შპს "სოკარ ჯორჯია გაზი" ფლობს ხარისხის მართვის სერტიფიკატს ISO 9001:2008, 2016 წელს კი კომპანიამ გაიარა რესერტიფიკაცია ახალი სტანდარტით და "სოკარ ჯორჯია გაზი" გახდა პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც მიიღო ხარისხის მართვის სერტიფიკატი ISO 9001:2015.


2017 წელს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ საკუთარ ქსელზე მიაერთა დაახლოებით 56 000 ახალი აბონენტი, წლის ბოლოსთვის კი აბონენტების ჯამურმა რაოდენობამ 400 000-ს მიაღწია.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ


2017 წლის განმავლობაში „სოკარ ჯორჯია გაზის“ და „საქორგაზის“ ქსელზე ჯამურად მიერთდა დაახლოებით 76 000 ახალი აბონენტი. დღეისათვის, „სოკარ გაზის“ კომპანიები საქართველოს მასშტაბით ბუნებრივი გაზით დაახლოებით 600 000 აბონენტს უზრუნველყოფს. მომხმარებლებს ემსახურება 42 სერვისცენტრი 5 რეგიონში.

2017 წლისათვის „სოკარ ჯორჯია გაზის“ აბონენტების მიერ მოხმარებული გაზის მოცულობები და აბონენტების გადანაწილება რეგიონებში გრაფიკულად ასე გამოიყურება:

2017 წელს მოხმარებული გაზის მოცულობები რეგიონების მიხედვით



აბონენტების განაწილება რეგიონებად (მიწოდება)



კლიენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2013 წელს, „სოკარ ჯორჯია გაზში“ შეიქმნა ქოლ ცენტრი, რომელიც ასევე ემსახურება „საქორგგაზის“ ქსელის აბონენტებსაც. ცენტრი მუშაობს 24-საათიან რეჟიმში, იღებს ზარებს საქართველოს ყველა რეგიონიდან სხვადასხვა ტექნიკურ და კომერციულ საკითხებთან დაკავშირებით. 2017 წელს ქოლ-ცენტრმა უპასუხა 281 610 ზარს, რომელთა საფუძველზეც ჯამში დაფიქსირდა 344 237 პრობლემა. ეს სტატისტიკა თანხვედრაშია დასავლეთის ქვეყნებში არსებულ სტანდარტებთან. ასევე, ქოლ ცენტრის ოპერატორები რეგულარულად ურეკავენ ახალ აბონენტებს და ატარებენ კლიენტთა კმაყოფილების კვლევას. მომავალში იგეგმება კლიენტთა მომსახურების მეთოდოლოგიის დახვეწა და გაფართოება. 2015 წლიდან, სატელეფონო მომსახურების გარდა, კომპანიამ დაიწყო კლიენტთა მომსახურება ელექტრონული ფოსტით და სოციალური მედიის საშუალებით.

ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის ინსტიტუციური და სტრუქტურული ფორმები იცვლებოდა კომპანიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საჭიროების მიხედვით, 2010 წლის ბოლომდე კომპანია იყო დეცენტრალიზებული სტრუქტურით წარმოდგენილი.

კომპანიის ცენტრალიზება მოხდა 2014 წლის 31 ოქტომბერს, როდესაც 6 რეგიონალური კომპანია შერწყმის შედეგად გაერთიანდა „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს ქვეშ. ამჟამად, ეს 6 რეგიონალური კომპანია წარმოადგენს რეგიონალურ ოფისებს.

კომპანიის ახალმა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ გააუმჯობესა კომპანიის კომერციული და ფინანსური მდგომარეობა. შეიქმნა მარკეტინგის სამსახური, აბონენტებთან ურთიერთობის სამსახური, რაც ამარტივებს კლიენტებთან ურთიერთობას და ზრდის მათ კმაყოფილებას.

სამოქმედო ბაზრები და კონკურენტების ანალიზი

შენიშვნა: ამ ქვეთავში წარმოდგენილი მონაცემები სრულად ეყრდნობა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში სემეკის) 2017 წლის ანგარიშს.

განმარტების სახით:

- ა) საყოფაცხოვრებო მომხმარებელი – ფიზიკური პირი, რომელიც ბუნებრივ გაზს ყიდულობს და მოიხმარს მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის;*
- ბ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი – საყოფაცხოვრებო მომხმარებლის გარდა ყველა სხვა საცალო მომხმარებელი.*

ბუნებრივი გაზი საქართველოსთვის ერთ-ერთი უმთავრესი ენერგიის წყაროა, რომლის მეშვეობით კმაყოფილდება საქართველოში ენერგიის საბოლოო მოხმარების 31%. ბუნებრივ გაზზე საქართველოს მოთხოვნა 2017 წელს წინა წელთან შედარებით 3.6%-ით გაიზარდა, რაც მეტწილად გამოწვეული იყო საყოფაცხოვრებო სექტორში გაზრდილი მოთხოვნით. 2017 წელს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთდა 101,527 ახალი მომხმარებელი, აქედან „სოკარის გაზის“ კომპანიებმა მიაერთეს დაახლოებით 76 000 აბონენტი, მომხმარებელთა საერთო რაოდენობამ 2017 წლის ბოლოს 1,157,127 შეადგინა, საიდანაც დაახლოებით 600 000 აბონენტი ასევე სოკარის შვილობილ კომპანიებს ეკუთვნის.

საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის უმთავრესი მომწოდებელი აზერბაიჯანია, საიდანაც ქვეყანა იღებს მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო ბუნებრივ გაზს.

იმ პირობებში, როდესაც შეშა ქვეყანაში სულ უფრო ძნელად მოსაპოვებელი ხდება და, შესაბამისად, იზრდება მისი ფასი, ბუნებრივი გაზი არის ყველაზე ხელმისაწვდომი (როგორც ფინანსურად, ასევე ენერგიაზე წვდომის კუთხით) ენერგიის წყარო საქართველოს სოფლების მასობრივი გაზიფიცირების პირობებში. გარდა ამისა, საყოფაცხოვრებო სექტორში ბუნებრივი გაზის მოხმარების ცვლილება დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, გამოყენებულ გაზის მომხმარებელ დანადგარებსა, მათ სწორ ექსპლუატაციაზე და ა.შ.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ბუნებრივ გაზზე მომუშავე გათბობის ინდივიდუალურ ცენტრალურ სისტემას იყენებს შინამეურნეობების 10.5%. აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ქალაქში - 17.1%, ხოლო სოფელში 1.6%-ის ფარგლებშია. შინამეურნეობების 88.3% იყენებს გათბობის ისეთ ინდივიდუალურ საშუალებებს, როგორიცაა ელექტრო ან გაზის გამათბობელი, შეშის ღუმელი, ბუხარი და ა.შ., ხოლო შინამეურნეობების 1.2% გათბობის გარეშეა.

საყოფაცხოვრებო და მცირე არასაყოფაცხოვრებო (სადაც ბუნებრივი გაზი ძირითადად გამოიყენება მხოლოდ შენობის გათბობის მიზნით) მომხმარებლების სეგმენტში ბუნებრივი გაზის მოხმარება მკვეთრად გამოხატული სეზონურობით ხასიათდება. ზამთრის პერიოდში (რომელიც გრძელდება თითქმის 6 თვე, ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით) ენერგიის მოხმარების მაქსიმალური მაჩვენებლები დაკავშირებულია ტემპერატურის ვარდნასთან.

2017 წელს ერთი საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ წლის განმავლობაში მოხმარებულმა ბუნებრივმა გაზმა საშუალოდ 827 კუბ.მ შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 0.12%-ით აღემატება 2016 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს.

საბითუმო ბაზარი

საბითუმო ბაზარზე არსებული მიმწოდებლები ბუნებრივ გაზს აწვდიან საცალო მიმწოდებლებს, ხოლო, თავის მხრივ, საცალო მიმწოდებლები – საბოლოო მომხმარებლებს. ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარზე მონაწილე კომპანიები გარკვეულ შემთხვევაში ასევე ეწევიან საცალო მიწოდებასაც. საბითუმო მიმწოდებელი არის ისეთი მიმწოდებელი, რომელმაც გაყიდული ბუნებრივი გაზის თუნდაც მცირე ნაწილი მიაწოდა სხვა მიმწოდებელს.

საცალო ბაზარი

საცალო მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ორი ძირითადი მიმწოდებელია შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი გაზის განაწილება და მიწოდება განხილულია როგორც სხვადასხვა საქმიანობა, განაწილების ლიცენზიანტებს არ ეკრძალებათ მიწოდების საქმიანობის განხორციელება და, შესაბამისად, ლიცენზიანტები ასევე წარმოადგენენ ბუნებრივი გაზის მიმწოდებლებს ძირითადად მათი ბუნებრივი გაზის განაწილების სამოქმედო არეალში. გამოწვევას შპს „ინტერ გაზი“, სს „ამბროლაურგაზი“, სს „გაზტრანს სერვისი“ და შპს „გაზმშენი“, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ არიან ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიანტები, არ ახორციელებენ ბუნებრივი გაზის მიწოდებას. განაწილების ლიცენზიანტებიდან მხოლოდ 3 ექვემდებარება სავალდებულო დაყოფას ევროპის პარლამენტის 2009/73/EC დირექტივის მიხედვით (მხოლოდ შპს „ყაზტრანსგაზთბილისი“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ და სს „საქორგაზი“ ახორციელებენ ბუნებრივი გაზის განაწილებას 100,000-ზე მეტი მომხმარებლისთვის).

კონკურენცია ბაზარზე და შესვლის ბარიერები

გაზის ბაზარზე შესვლა რეგულირებადია, გაზის ტრანსპორტირება და გაზის განაწილება რეგულირდება სემეკის მიერ, რომელიც გასცემს ლიცენზიას. კომპანია ვალდებულია აკმაყოფილებდეს შესაბამის კრიტერიუმებს. კერძოდ, ლიცენზიის მისაღებად მაძიებელმა კომისიაში უნდა წარადგინოს შესაბამისი სალიცენზიო განაცხადი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლითა და კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებული ლიცენზირების წესების მე-5 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია:

- წარმოების საშუალებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები
- წარმოების საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები
- ძირითად საშუალებათა ჩამონათვალი და საწარმოს შეფასების (აუდიტის) დასკვნა
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება
- საქართველოს ელექტრულ ან ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის ტექნიკური პირობა
- მოთხოვნილი ლიცენზიის შესაბამისი ბუნებრივი გაზის ქსელის სქემა.

2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

სახელმწიფოს მიმართ ვალდებულების შესრულება

„საქართველოს რეგიონების ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფისა და შესაბამის დარგში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 25 დეკემბრის №888 განკარგულების საფუძველზე 2008 წლის 26 დეკემბერს გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ შორის, რომლის თანახმადაც შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რეგიონალური გაზგამანაწილებელი კომპანიების აქციები გარკვეული პირობებით, შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ დაეკისრა ვალდებულება არანაკლებ 250 000 პოტენციური მომხმარებლის გაზიფიცირების მიზნით 2017 წლის ბოლომდე უზრუნველყოფა არანაკლებ 250,000,000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება.

კომპანიამ 2017 წელს შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულება, რაც წერილობით დასტურდება როგორც ეკონომიკის სამინისტროს მიერ, ასევე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნით. ამ პროექტის დასრულების შედეგად, ბუნებრივი გაზით სარგებლობა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 75%-სთვის გახდა ხელმისაწვდომი. კომპანიამ დაარსების დღიდან ჯამურად 290 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა, ხოლო გაზიფიცირებულია 400 000-მდე აბონენტი.

ტარიფის ზრდა

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ბუნებრივი გაზის განაწილების არეალში ზემოაღნიშნული ვალდებულებით განხორციელებული ინვესტიციების, აგრეთვე სხვა მცირე გაზგამანაწილებელი კომპანიებისაგან ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელების შესყიდვისა და სალიცენზიო არეალების გაფართოების საფუძველზე, 2017 წლის მდგომარეობით, სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში მოქმედებდა 41 ინდივიდუალური ტარიფი. ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების დადგენის მოთხოვნით შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ 2017 წლის 20 და 27 თებერვალს წარადგინა სატარიფო განაცხადი.

სატარიფო განაცხადით წარდგენილი საწარმოს ფინანსური და ტექნიკური მაჩვენებლების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე კომისიის მიერ განისაზღვრა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ რეგულირებადი დანახარჯების ბაზა, რომელიც მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიით გათვალისწინებული რეგულირების პრინციპების შესაბამისად, გადანაწილდა მიწოდების და განაწილების საქმიანობებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სოკარ ჯორჯია გაზისთვის“ განისაზღვრა ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი – 31.57 თეთრი/მ3, განაწილება-გატარების ტარიფი – 23.15 თეთრი/მ3 და მოხმარების ტარიფი – 56.940 თეთრი/მ3, რომელიც დამტკიცდა კომისიის 2017 წლის 18 ივლისის №14 დადგენილებით და მოქმედებს 2017 წლის 20 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.


კომპანიის განვითარების გეგმები

2008 წლიდან „სოკარი ჯორჯია გაზი“ ორიენტირებული იყო სახელმწიფოს მიმართ საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებაზე, ეს ვალდებულება კომპანიამ 2017 წელს შეასრულა და ამის შემდეგ ძირითადი სტრატეგია მიმართული იქნება ევროასოცირების ხელშეკრულების პირობების შესრულებისკენ და სამოქმედო გეგმა გაიწერება მათი დირექტივების შესაბამისად.

ამჟამად მიმდინარეობს ევროკავშირის და ევროპარლამენტის 2009 წლის გადაწყვეტილების „გაზის მიწოდების საერთო პრინციპების“ დანერგვის შესახებ პროგრამის ეტაპობრივი განხორციელება, რომელსაც ეწოდება „მესამე ენერგეტიკული პაკეტი“. კერძოდ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით საქართველომ აიღო ვალდებულება, განახორციელოს რეფორმები ენერგეტიკის სექტორში და საფუძველი ჩაუყაროს ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან დაახლოებას.

ინვესტიციები ბუნებრივი ბაზის განაწილების სფეროში

სემეკის წლიური ანგარიშის მიხედვით, 2017 წლისთვის ბუნებრივი ბაზის განაწილების სექტორში დაგეგმილი ინვესტიციის მოცულობა შეადგენდა 173,034,000 ლარს. მათ შორის, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ – 139,062,000 ლარს, სს „საქორგაზის“ – 18,602,000 ლარს, ხოლო შპს „ყასტრანსგაზ-თბილისის“ – 15,370,000 ლარს. ფაქტობრივად განხორციელდა 173,431,000 ლარის ინვესტიცია, მათ შორის 160,772,386 ლარი – საკუთარი სახსრებით, ხოლო 12,660,424 ლარი – მესამე პირების (მომხმარებლების) დაფინანსებით. განაწილების სექტორში 2017 წელს ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი – 83.16% ანუ 144,228,510 ლარი მოდის შპს „სოკარ ჯორჯია გაზზე“, რომელმაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რეგიონული გაზგამანაწილებელი კომპანიების აქციების ნასყიდობის 2008 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში საანგარიშო წელს ააშენა და ექსპლუატაციაში შეიყვანა 3,857 კმ გაზგამანაწილებელი ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს 76,000 ახალი პოტენციური აბონენტის გაზიფიცირებას. ამავე წელს კომპანიამ შეისყიდა გაზსადენები, ჯამში 14,637,000 ლარის ღირებულების. სს „საქორგაზის“ მიერ 2017 წელს განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა სულ 19,203,000 ლარი, მათ შორის, საკუთარი სახსრებით – 17,222,207 ლარი, ხოლო მესამე პირების დაფინანსებით – 1,980,793 ლარი. „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ საანგარიშო წელს სხვადასხვა რეგიონში აშენდა 106.686 კმ სიგრძის ახალი გაზსადენები. განხორციელდა არსებული ქსელების რეაბილიტაცია, რის შედეგადაც გამანაწილებელ ქსელზე მიერთდნენ ახალი აბონენტები. 2017 წელს განხორციელებული ინვესტიციები გრაფიკულად ასე გამოიყურება (იხ. ცხ. 1):



ცხ1


კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის შემოსავალმა 2017 წელს შეადგინა 868 580 724 ლარი, წმინდა მოგება იყო 52 063 000 ლარი. აქტივების ჯამური ღირებულება 2017 წლის ბოლოს შეადგენდა 891 140 000 ლარს, რაც ზუსტად 10%-ით მეტია 2016 წლის ბოლოს იმავე მაჩვენებელზე. კომპანიის მთლიანი აქტივების 62%-ს წარმოადგენს გაზსადენები და სხვა ძირითადი საშუალებები, რომელთა საშუალებითაც კომპანია ახორციელებს თავის ძირითად საქმიანობას. აქტივების 32%-ს შეადგენს სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება 147 294 000 ლარის სააქციო კაპიტალისგან და 34 967 000 ლარის დამატებითი კაპიტალისგან. კომპანიის შემოსავალი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 15%-ით არის გაზრდილი, რაც აიხსნება ერთი მხრივ, ტარიფის ზრდით, ხოლო მეორე მხრივ - ზოგადი მოხმარების ზრდით, რაც განაპირობა ინტენსიურმა გაზიფიკაციებმა. ასევე გაზრდილია კომპანიის EBITDA, რომელიც 2016 წელს შეადგენდა 34 650 000 ლარს, ხოლო 2017 წელს ის 86 709 000-მდე გაიზარდა. კომპანიის უკუგება აქტივებზე 2017 წელს არის 5.84%. კომპანიამ 2016 წელთან შედარებით დაახლოებით 20 მილიონით შეამცირა გრძელვადიანი პროცენტური სასესხო ვალდებულებები, ასევე შემცირებულია მოკლევადიანი ვალდებულებები დაახლოებით 50 მილიონი ლარით. 2017 წელს კომპანიის მიერ იმპორტირებულია 1379,7 მლნ. კუბ. მ. ბუნებრივი გაზი.

კომპანიის მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები

„სოკარ ჯორჯია გაზი“ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი გადასახადების გადამხდელია. დაარსებიდან 2017 წლის ჩათვლით კომპანიის მიერ გადახდილი გადასახადები გრაფიკულად ასე გამოიყურება: *იხ ცხ 2*

წელი	ბიუჯეტში გადახდილი თანხა
2008	904,835
2009	2,948,889
2010	430,844
2011	13,041,017
2012	28,995,209
2013	36,388,924
2014	63,009,854
2015	81,906,024
2016	94,093,688
2017	110,362,893
სულ	432,082,175



ცხ. 2

საკადრო პოლიტიკა

„სოკარ ჯორჯია გაზი“ 2008 წლიდან, განვითარების კვალდაკვალ ზრდიდა თანამშრომელთა რაოდენობას. 2016 წლის ბოლოსთვის, თანამშრომელთა რაოდენობამ დაახლოებით 2310 ადამიანი შეადგინა, ხოლო 2017 წლის ბოლოს - 2512, რაც გამოწვეულია აბონენტების რაოდენობის ზრდით და სალიცენზიო არეალის გაფართოებით.

„სოკარ ჯორჯია გაზი“ უზრუნველყოფს თავისი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევას. ასევე, თანამშრომელთა წახალისების მიზნით, კომპანია იყენებს ბონუს სისტემას ინდივიდუალური შედეგების მიხედვით. თანამშრომლებს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ყოველწლიურად უტარდება ტრენინგები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს საკადრო პოლიტიკის განვითარებას და ქმნის თანამშრომელთა სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას. „სოკარ ჯორჯია გაზი“ მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა გადამზადებაზე, თითქმის ყველა მიმართულებით ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც ტექნიკური, ასევე ინოვაციებზე და ბიზნეს განვითარების კუთხით მომუშავე პერსონალისათვის.

2017 წლის 10 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისში კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზი“ გახსნა თანამშრომელთა გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი.

სასწავლო ცენტრი თანამშრომელთა პროფესიული ცოდნის ასამაღლებლად და პროფესიონალური უნარების სრულყოფის, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში ერთიანი პოლიტიკის რეალიზაციის და უზრუნველყოფის მიზნით არის შექმნილი.

სასწავლო ცენტრის ძირითადი ამოცანებია:

- თანამშრომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის განახლება გაზის სფეროში მზარდი მოთხოვნების შესაბამისად
- პროფესიონალური ცოდნის და შესაძლებლობების ამაღლება და სათანადო დონის უზრუნველყოფა
- მოწინავე გამოცდილების, ახალი პროგრესული მეთოდებისა და ტექნოლოგიების შესწავლა და განვრცობა

კომპანიის თანამშრომელთა 90% დასაქმებულია რეგიონებში. რეგიონებში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი შეადგენს 853 ლარს, თუმცა ცალკეული რეგიონების ჭრილში ეს მაჩვენებელი მეტნაკლებად განსხვავებულია.

გრძელვადიან პერსპექტივაში, „სოკარ ჯორჯია გაზი“ გეგმავს საკადრო პოლიტიკის ოპტიმიზაციას, კერძოდ:

- შრომის ეფექტურობის გაზრდა ინოვაციების დანერგვის გზით, რაც გულისხმობს სხვადასხვა ავტომატიზაციის სისტემების დანერგვას, კერძოდ: ბილინგის სისტემა, CRM, ტელეფონია, სმს-ცენტრი. ეს შეამცირებს რუტინულ სამუშაოს, რაც თავის მხრივ თანამშრომელთა მოტივაციას და განვითარების შესაძლებლობას გაზრდის და ასევე დაზოგავს დროს და შესაძლებლობას მისცემს კომპანიას, უფრო სწრაფად და ოპერატიულად მოემსახუროს აბონენტებს, რაც მათი კმაყოფილების კოეფიციენტზე დადებითად აისახება.
- იმ სამუშაოების აუტოსორსინგი, რომელშიც კომპანიის თანამშრომლებს აქვთ ნაკლები კომპეტენცია. „სოკარ ჯორჯია გაზი“ ამ მეთოდს უკვე საკმაოდ წარმატებულად იყენებს სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას, კომპანია ქირაობს კონტრაქტორ კომპანიებს, რომლებიც ასრულებენ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების ლიკვიდობის მიმოხილვა და რისკების მართვის მექანიზმები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება და გარანტიების გაცემა თავისი ოპერაციების მზარდასაჭერად. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სესხებს, სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს და ნაღდი ფულის ნაშთს მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. კომპანია არის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ

კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება მშობელი კომპანიისა და საბოლოო მშობელი კომპანიის დონეზე. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა კომპანიას საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ კომპანიის მიერ წარმოდგენილ წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში „ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა“.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

„სოკარის“, როგორც ჯგუფის, ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ადამიანებსა და გარემოზე ზრუნვაა. ჯგუფის სოციალური აქტივობები მოიცავს კულტურულ, სპორტულ, ინფრასტრუქტურულ და საქველმოქმედო პროექტებს.

გარემოზე ზრუნვა

რეგიონებში ინტენსიური გაზიფიცირებების დაწყებამდე ხდებოდა ხეების უკონტროლო ჭრა, რაც ამძიმებდა ეკოლოგიურ ფონს. შესაბამისად გაზიფიცირება ხელს უწყობს ტყის საფარის შენარჩუნებას და დადებითად მოქმედებს ეკოსისტემაზე. კომპანიის გათვლებით, ინტენსიურმა გაზიფიკაციამ წელიწადში დაახლოებით 1 000 000 ხე გადაარჩინა მოჭრას. კვლევის მიხედვით, ეს ფაქტი მომხმარებლების სრულ უმრავლესობას სიმპატიით განაწყობს „სოკარის“ მიმართ.

ამავე კვლევის მიხედვით, მოსახლეობა დადებითად აფასებს „სოკარს“ და აზერბაიჯანს, როგორც სტაბილურ პარტნიორს, რომელმაც ენერგოკრიზისის დროს გამოიყვანა საქართველო მძიმე სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობიდან.

„სოკარის“ ჯგუფის მიერ განხორციელებული სხვა სოციალური პროექტები:

კულტურა

„სოკარისა“ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მჭიდრო და ხანგრძლივი თანამშრომლობით მრავალი პროექტი შეიქმნა. კომპანია დიდ ინვესტიციებს დებს კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციაში და მხარს უჭერს სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალს. აღსანიშნავი პროექტებია:

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და „სოკარმა“ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის ფარგლებშიც „სოკარი“ CHECK IN GEORGIA-ს პარტნიორი გახდა.
- „სოკარი“ არის ელექტრონული მუსიკის ფესტივალების 4GB-ის და OPEN AIR-ის მხარდამჭერი.
- 2012 წელს მარნეულში „სოკარის“ მხარდაჭერით გაიხსნა სასწავლო ცენტრის შენობა-ჩაის სახლი. სასწავლო ცენტრში მარნეულის, ბოლნისის, გარდაბანისა და დმანისის რაიონების ახალგაზრდებს ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენას უფასოდ შეასწავლიან. სასწავლო ცენტრში არის ასევე ჭადრაკის, ცეკვისა და ხალიჩების ქსოვის კურსები.
- სოკარის წარმომადგენლობის დაფინანსებით განხორციელდა გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლის, დრამატურგის, განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის, მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმისა და სამხატვრო გალერეის მშენებლობა-რესტავრაცია თბილისში. კულტურის კომპლექსს ახუნდოვ ჰაუსს წილად ხვდა საუკეთესო საზოგადოებრივი ნაგებობის წოდება.
- „სოკარი“ არის ინტელექტუალური „რა? სად? როდის?“ სპონსორი

სპორტი

„სოკარი“ უკვე 11 წელია მხარს უჭერს ქართულ სპორტს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში. კომპანია არის საქართველოს რაგბისა და ფეხბურთის ახალგაზრდული ნაკრებების, ასევე ჭადრაკის ფედერაციის ოფიციალური სპონსორი. კერძოდ:

- საქართველოს რაგბის U20 ნაკრების სპონსორი.
- უეფას ოფიციალური პარტნიორი და ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის სპონსორი.
- საქართველოს ფეხბურთის U19 ნაკრების სპონსორი.
- საქართველოში ჭადრაკის ფედერაციის გენერალური სპონსორი.

ინფრასტრუქტურა

კომპანიას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარებაში. „სოკარმა“ შექმნა ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი არქიტექტურული ნაგებობები და სტრატეგიული მნიშვნელობის კომპლექსები: კერძოდ:

- რუის-ურბნისის მრავალფუნქციური კომპლექსი
- სოკარისა მულტიფუნქციური კომპლექსი თბილისი-რუსთავის გზაზე.
- სოკარისა და მაკდონალდსის ერთობლივი ობიექტი ბათუმში.
- ჰეიდარ ალიევის სახელობის პარკები და რეკრეაციული ზონები თბილისსა და რუსთავში.

ქველმოქმედება

„სოკარი“ ზრუნავს ქვეყანაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე და განათლების დონის ამაღლებაზე. წლების მანძილზე კომპანია აღიარებულია, როგორც სოციალური პროექტების უმსხვილესი ინვესტორი და ახორციელებს შემდეგ საქველმოქმედო ღონისძიებებს:

- ბუნებრივი აირი სოციალურად დაუცველ ხანდაზმულებსა და ბავშვთა სახლებს.
- ბუნებრივი აირი ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობას.
- ბუნებრივი აირი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების ყველა ობიექტს.
- სტუდენტების სწავლის დაფინანსება.
- საქველმოქმედო ფონდის - ნატურის ხე - გენერალური სპონსორობა. ფონდი 2014 წლიდან აფინანსებს ბავშვების მკურნალობას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიას ამ ეტაპზე საკმაოდ მყარი პოზიცია უჭირავს ბაზარზე, კერძოდ, მას აქვს რამდენიმე უპირატესობა, რომელიც განაპირობებს მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში მის სტაბილურ ფუნქციონირებას და მომავალ განვითარებას, მათ შორისაა: რეგიონალურ გაზის გაზგამანაწილებელ ბიზნესში მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილება და კომპეტენცია, გაზსადენების ფართო ქსელი, ავტორიტეტული და ძლიერი აქციონერი (აზერბაიჯანის

სახელმწიფო კომპანია), კლიენტების უზარმაზარი ბაზა საქართველოს რეგიონებში - 400 000-ზე მეტი აბონენტი.

ზემოხსენებული ფაქტორები ქმნის შესაძლებლობას, რომ კომპანია მომავალში კიდევ უფრო განვითარდეს და გაფართოვდეს, მიაერთოს ახალი აბონენტები უკვე გაზიფიცირებულ რეგიონებში, გაფართოვდეს გეოგრაფიულად და აითვისოს არაგაზიფიცირებული რეგიონები და რაიონები, ასევე ტურისტული ზონები, სადაც მოხმარება საშუალოზე მაღალი იქნება.

ასევე, არსებობს გარკვეული საფრთხეები და დაბრკოლებები ზემოთხსენებული მესამე ენერგეტიკული პაკეტის განხორციელების პროცესში, რომელიც კომპანიისთვის ამ ეტაპზე საკმაოდ რთული გამოწვევაა და შესაძლოა ძირეული ცვლილებები გამოიწვიოს. თუმცა, საბოლოოდ ეს ცვლილებები მომხმარებლებზეც და ბაზარზე მოქმედ კომპანიებზეც დადებითად აისახება, რადგან გაზრდილი კონკურენცია აუმჯობესებს მიწოდებული მომსახურების ხარისხს.

მნიშვნელოვანი რისკია ასევე ლარის კურსის ფლუქტუაცია დოლართან მიმართებაში, ვინაიდან კომპანია გაზს ყიდულობს დოლარში, ხოლო რეალიზაცია საცალო აბონენტებზე ხდება ლარში.

ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორები

პოლიტიკური ფაქტორები:

- აზერბაიჯანისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა „სოკარ ჯორჯია გაზის“ განვითარების და ბაზარზე მყარი პოზიციის გარანტიას. პოლიტიკური ცვლილებები როგორც წესი, გავლენას არ ახდენს „სოკარზე“, რადგან აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობები სტაბილურია.
- ბოლო წლებში მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების ფონზე ბაზარი უფრო დაცული გახდა გაზის ტარიფთან დაკავშირებული პოლიტიკური სპეკულაციებისგან, რადგან ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგია საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
- რეგიონის პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური არასტაბილურობაც, რაც ასევე აისახება ენერგეტიკაზე.
- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება: ამ ხელშეკრულების პირობებმა შესაძლოა ენერგეტიკული ბაზრის ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვიოს რეგულირებისა და კანონმდებლობის კუთხით.

ეკონომიკური ფაქტორები:

- სავალუტო რისკები, ლარის არასტაბილურობამ შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფინანსური პრობლემები.
- საპროცენტო განაკვეთი: გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია თავისი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს სესხით აფინანსებს, საპროცენტო განაკვეთი დიდ გავლენას ახდენს მის ფინანსურ ხარჯებზე.
- ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული მომხმარებელთა გადახდისუნარიანობა და შესაბამისად გაზის მოხმარება.

სოციალური ფაქტორები:

- მოსახლეობის ზრდის ტემპი შემცირებულია, რაც პირდაპირ მოქმედებს გაზის მოხმარების მოცულობაზე.
- უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები. გამოკითხვის მიხედვით, უსაფრთხოების მიხედვით სოკარმა 3,7 ქულა მიიღო, სადაც 1 ყველაზე უსაფრთხოა, ხოლო 10 ძალიან საშიში.
- გარემოს დაცვა - ბოლო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით უფრო და უფრო დიდი ყურადღება ექცევა გარემოზე ზრუნვას, რაც გულისხმობს ბაზარზე მყოფი კომპანიებისთვის დამატებით რეგულაციებს და მეტ სოციალურ პასუხისმგებლობას.
- დემოგრაფიული განაწილება - საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს ქალაქებში. ქალაქის მოსახლეობას უფრო ნაკლები წვდომა აქვს გაზის შემცველ პროდუქტებზე, ვიდრე სოფლად. აქედან გამომდინარე, კონკურენციის რისკი ქალაქებში ნაკლებია.
- სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყანაში - ბოლო წლებში ზრდის ტენდენციაა, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს გაზის მოხმარების მოცულობაზე.

ტექნოლოგიური ფაქტორები:

- ინტერნეტ და მობილური მომსახურებები საქართველოს ურბანულ რაიონებში კარგად არის განვითარებული, ხოლო სოფლებში ეტაპობრივად ფართოვდება დაფარვის ზონები, რაც ენერგო კომპანიებისთვისაც მომგებიანია, რადგან მარტივდება მომხმარებელთან კომუნიკაცია და საოპერაციო საქმიანობა. (მაგ: აბონენტებისთვის ქვითრის ნაცვლად სმს-ის გაგზავნა).
- ამჟამად ინტერნეტი ხელმისაწვდომია თითქმის ყველა რეგიონში, რაც ნიშნავს მომხმარებელთა თავისუფალ წვდომას გაზთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჯარო ინფორმაციაზე. (მაგალითად, გაზის უსაფრთხო მოხმარების წესები, ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგია და ა.შ.)

გარემო ფაქტორები:

- კლიმატური ცვლილებები: გაზის ბაზარი მკვეთრი სეზონურობით გამოირჩევა. ზამთრის სეზონზე მოხმარება დამოკიდებულია 2 ძირითად ფაქტორზე, ზამთრის საშუალო ტემპერატურასა და დაბალი ტემპერატურის ხანგრძლივობაზე.
- საქართველოს ეკოსისტემა მდიდარია გაზის შემცველი პროდუქტებით, კერძოდ, შეშა, წყალი, ელექტროენერგია, თუმცა ამჟამად საქართველოში ხის ჭრაზე კონტროლი გამკაცრებულია, რამაც შესაძლოა განაპირობოს გაზის მოხმარების ზრდა.
-

საკანონმდებლო ფაქტორები:

- საგადასახადო პოლიტიკა: საგადასახადო სისტემის გამარტივება და ესტონურ მოდელზე გადასვლა ცალსახად დადებითად აისახება ბიზნესზე.
- სემეკის მიერ კონტროლდება სოციალური აბონენტების მიერთებაზე ფასწარმოქმნა. მარეგულირებელი აკონტროლებს მიერთების ვადებს, 40 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში აბონენტს უნახევრდება ტარიფი, ხოლო 80 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში - მთლიანად ჩამოეწერება ვალი.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება კომპანიის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ეს მიმართულება ხელს უწყობს პროცესების ოპტიმიზაციას და ავტომატიზაციას. კომპანიის განვითარების ამ ეტაპზე ციფრული ტექნოლოგიების განვითარება იგეგმება სამი ძირითადი მიმართულებით: კომერციული საქმიანობის ოპტიმიზაცია, ტექნიკური ოპერაციები და კონტროლის მექანიზმები.

ციფრული ტექნოლოგიები კომერციულ საქმიანობის ოპტიმიზაციისთვის

ბილინგის სისტემა

ბილინგის სისტემა წარმოადგენს კომპანიის მთავარ ციფრულ ინოვაციას, რომელიც დაინერგა კონკრეტულად „სოკარ ჯორჯია გაზისთვის“. სისტემაში სრულად არის ასახული კომპანიის საოპერაციო საქმიანობის მოთხოვნები, როგორებიცაა:

- უნიფიცირებული აბონენტები
- ფინანსური კონტროლის მექანიზმები
- რეპორტინგი
- ტარიფების მოქნილი სქემა
- სმს-ს გაგზავნა აბონენტებთან, საჭიროების შემთხვევაში ქვითრის ადგილზე ბეჭდვა.

CRM სისტემა

სისტემა რომელიც მოიცავს მომხმარებლებთან ურთიერთობის ყველა საშუალებას, როგორებიცაა „ქოლ ცენტრი“, მომხმარებლების მომსახურების ცენტრები, ვებ პორტალი. ეს სისტემა მთავარი მიზანია აბონენტების კმაყოფილების ამაღლება აბონენტებთან ურთიერთობის ანალიზის მეშვეობით.

ვებ პორტალი

წარმოადგენს სოციალურ და კომერციული აბონენტების ელექტრონულ ანგარიშებს. სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ ნახონ თავიანთი ისტორია კომპანიაში. ვებ პორტალის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენ:

- აბონენტების ბარათები
- უსაფრთხოების წესები
- მომსახურებების შეთავაზება
- ონლაინ გადახდები

ციფრული ტექნოლოგიები ტექნიკურ ოპერაციებში

გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა

აღნიშნულ სისტემაში ასახულია კომპანიის ფიზიკური ინფრასტრუქტურა: გაზსადენები, მრიცხველები და ა.შ. რაც კომპანიას აძლევს საშუალებას ადგილზე მისვლის და გეგმიური შემოვლების გარეშე აღმოფხვრას პოტენციური პრობლემები. ასევე იგეგმება GIS სისტემის ინტეგრირება ბილინგის სისტემასთან, რაც კომპანიას მისცემს საშუალებას სამუშაო პროცესები უკვე ამ სისტემის მეშვეობით განახორციელოს.

სადისპერო ცენტრი

წარმოადგენს ბუნებრივი გაზის უწყვეტ და უსაფრთხო მიწოდების მაკონტროლებელ ცენტრს. სადისპერო ცენტრი აგროვებს ინფორმაციას სხვადასხვა სისტემებიდან, ახდენს მათ კონსოლიდაციას და კომპანიას სთავაზობს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას პრობლემის აღმოსაფხვრელად. მაგ: GIS ის სისტემიდან ტექნიკის და მოწყობილობების ადგილმდებარეობას, კორექტორებიდან რომლებიც დაყენებულია საუბნო მრიცხველებზე ინფორმაციას წნევის და დატვირთვის შესახებ, CRM სისტემიდან ავარიების შესახებ და ამის მეშვეობით გეგმავს ავარიის აღმოფხვრის საფეხურებს. სადისპერო ცენტრის მთავარი ფუნქციებია:

- ოპერატიული, მოქნილი და ეფექტური რეაგირება პრობლემებზე, როგორიცაა ავარიები, ქსელში წნევის დაცემა და ა.შ.
- ჯგუფების მუშაობის კოორდინირება
- ადამიანური შეცდომის შემცირება გადაწყვეტილების მიღების დროს

ჩვენების აღების ტექნოლოგია

2012 წელს კომპანიაში დაინერგა მობილური ტერმინალები შტრიხ კოდის წამკითხველი აპარატით. ყველა მრიცხველზე დამონტაჟდა შტრიხ კოდი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით. ტერმინალის საშუალებით კონტროლიორი კითხულობს მრიცხველზე დატანილ შტრიხ-კოდს. აბონენტს მომენტალურად ეგზავნება სატელეფონო შეტყობინება (SMS) დავალიანების დარიცხვასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში აბონენტის ქვითარი იბეჭდება ადგილზე მობილური ტერმინალიდან. ამ ტექნოლოგიის დანერგვამ შეამცირა კონტროლიორის მიერ ერთ აბონენტზე დახარჯული დრო და გადახდის ლოდინის ვადა.

მარკეტინგული სტრატეგია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

„სოკარ ჯორჯია გაზში“ მარკეტინგის დეპარტამენტი შეიქმნა 2015 წელს, მისი მიზანია მომხმარებლებში კომპანიის ცნობადობის გაზრდა, სიახლეების და ნებისმიერი სახის ინფორმაციის სწრაფად და სრულყოფილად მიწოდება. საზოგადოებასთან უფრო მჭიდრო და ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად იგეგმება ბაზრის გამოკვლევა და საჭიროების მიხედვით კომუნიკაციის გაღრმავება, სარეკლამო საქმიანობა.

მოკლევადიან პერსპექტივაში იგეგმება საკუთარი სახსრებით რეკლამირება. კერძოდ, ქვითრებზე, კომპანიის დაბრუნდილ მანქანებზე, ფრონტ ოფისებში დამონტაჟებულ ელექტრონული მონიტორებზე, ასევე კომპანიის ვებ გვერდზე და სოციალურ მედიაში განთავსდება ნებისმიერი სახის რეკლამა, ასევე სხვადასხვა შინაარსის ტექსტი და შეტყობინება აბონენტებისათვის. ასევე უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით კომპანია არიგებს საინფორმაციო ბროშურებს გაზის მოხმარებასთან დაკავშირებით, აბონენტებს ბროშურები ურიგდებათ ქვითრებთან ერთად. 2018 წლიდან, კლიენტებს ახალ კომერციული შეთავაზებებს აცნობენ ქოლ ცენტრის ოპერატორები. ასევე, აბონენტებს სმს-ით ეგზავნებათ სარეკლამო შეტყობინებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესებით მიმართულების იგეგმება „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს კორპორატიული პასუხისმგებლობის დოკუმენტის შექმნა. დოკუმენტი დაეფუძნება კომპანიის მიერ ღირებულების გაზრდისკენ მიმართულ აქტივობებს. ასევე შეიქმნება მხარდაჭერის ჯგუფი დაინტერესებული მხარეებისათვის, როგორებიცაა ენერგეტიკის სამინისტრო, მარეგულირებელი კომისია და ა.შ. იგეგმება ასევე ვებ-გვერდის გავრცობა და PR კამპანიის განვითარება, სოციალური ქსელების საშუალებით აქტიური კომუნიკაცია აბონენტებთან.

აზერ მამმადოვი

დირექტორი



26 სექტემბერი, 2018

ჩვენების აღების ტექნოლოგია

2012 წელს კომპანიაში დაინერგა მობილური ტერმინალები შტრიხ კოდის წამკითხველი აპარატით. ყველა მრიცხველზე დამონტაჟდა შტრიხ კოდი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით. ტერმინალის საშუალებით კონტროლიორი კითხულობს მრიცხველზე დატანილ შტრიხ-კოდს. აბონენტს მომენტალურად ეგზავნება სატელეფონო შეტყობინება (SMS) დავალიანების დარიცხვასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში აბონენტის ქვითარი იბეჭდება ადგილზე მობილური ტერმინალიდან. ამ ტექნოლოგიის დანერგვამ შეამცირა კონტროლიორის მიერ ერთ აბონენტზე დახარჯული დრო და გადახდის ლოდინის ვადა.

მარკეტინგული სტრატეგია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

„სოკარ ჯორჯია გაზი“ მარკეტინგის დეპარტამენტი შეიქმნა 2015 წელს, მისი მიზანია მომხმარებლებში კომპანიის ცნობადობის გაზრდა, სიახლეების და ნებისმიერი სახის ინფორმაციის სწრაფად და სრულყოფილად მიწოდება. საზოგადოებასთან უფრო მჭიდრო და ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად იგეგმება ბაზრის გამოკვლევა და საჭიროების მიხედვით კომუნიკაციის გაღრმავება, სარეკლამო საქმიანობა.

მოკლევადიან პერსპექტივაში იგეგმება საკუთარი სახსრებით რეკლამირება. კერძოდ, ქვითრებზე, კომპანიის დაბრენდილ მანქანებზე, ფრონტ ოფისებში დამონტაჟებულ ელექტრონული მონიტორებზე, ასევე კომპანიის ვებ გვერდზე და სოციალურ მედიაში განთავსდება ნებისმიერი სახის რეკლამა, ასევე სხვადასხვა შინაარსის ტექსტი და შეტყობინება აბონენტებისათვის. ასევე უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით კომპანია არიგებს საინფორმაციო ბროშურებს გაზის მოხმარებასთან დაკავშირებით, აბონენტებს ბროშურები ურიგდებათ ქვითრებთან ერთად. 2018 წლიდან, კლიენტებს ახალ კომერციული შეთავაზებებს აცნობენ ქოლ ცენტრის ოპერატორები. ასევე, აბონენტებს სმს-ით ეგზავნებათ სარეკლამო შეტყობინებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესებით მიმართულების იგეგმება „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს კორპორატიული პასუხისმგებლობის დოკუმენტის შექმნა. დოკუმენტი დაეფუძნება კომპანიის მიერ ღირებულების გაზრდისკენ მიმართულ აქტივობებს. ასევე შეიქმნება მხარდაჭერის ჯგუფი დაინტერესებული მხარეებისათვის, როგორებიცაა ენერგეტიკის სამინისტრო, მარეგულირებელი კომისია და ა.შ. იგეგმება ასევე ვებ-გვერდის გავრცობა და PR კამპანიის განვითარება, სოციალური ქსელების საშუალებით აქტიური კომუნიკაცია აბონენტებთან.

აზერ მამმადოვი

დირექტორი

26 სექტემბერი, 2018

გამოყენებული მასალები:

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის ანგარიში
2. შპს „არესემ საქართველოს“ დამოუკიდებელი დასაბუთებული რწმუნების ანგარიში
3. „იუაი საქართველოს“ დამოუკიდებელი რწმუნების ანგარიში 2017წ.
4. ანალიტიკური ცენტრი «მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის» (WEG) მიერ განხორციელებული და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს დაფინანსებული პროექტის «ენერგეტიკული რეფორმების ხელშეწყობა საქართველოში ცნობიერების გაზრდისა და სამოქალაქო სექტორის, მედიისა და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარებით» ფარგლებში წარმოდგენილი ექსპერტების პუბლიკაციების კრებული.

